# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 108 ოთხშაბათი, 20 მაისი 1909 წ. № 108

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება:

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან საღამოს დღემდის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.**



ხუთშაბათს 21 მაისს დილის 11 საათ. დ. ხონში წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლიური პანაშვიდი შარშან ვლადივოსტოკში გარდაცვალებულის 36 აღმოსავლეთ-მსროლელთა პოლკის პოდპოლკოვნიკის

## ილია ივანეს ძის ჩხიკვიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძმები და დები განსვენებულისა. (1—269—1)

21 მაისს, დილის 10 საათზე, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი 1908 წელს 21 მაისს ნაძალადევში მოკლულის განსვენებულის

## ივანე დავითის ძის ხელაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის დედა **სიდონია**, მეუღლე **დარია**, ქალი ნინა ხელაშვილები და და ლიზა ბენაშვილისა. (1—ნ.—1)

დღეს, 20 მაისს, 12 საათზე პეტრე-პავლეს სასაფლაოზე გარდახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულ ექიმის

## კონსტანტინე ივანეს ძის გმელიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და მეგობართ დედა, და და ძმა განსვენებულისა. (1—270—1)

დღეს 20 მაისს, 7 საათზე, ტფილისის სადგურზე მოასვენებენ უეცრად გარდაცვლილ

## ექიმ ლუკა ანტონის ძის ჯავახიშვილის

გვამს. დილის 9 საათზე, იქვე სადგურზე გარდახდილი იქნება პანაშვიდი და 10 საათზე ბორჯომის მატარებლით წასვენებულ იქმნება ს. ძევერაში, გორის მაზრაში, რასაც აუწყებენ ნაცნობებს მეგობრები განსვენებულისა. (1—273—1)

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო თეატრი

კვირას, 17 მაისს, 1909 წ. ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ **ქ. ნ. დადიანიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება სუმბათაშვილის ცნობილი პიესა.**

## ღალატი

ისტ. დრ. 5 მოქმ. ა. სუმბათაშვილისა თარ. გ. ყიფშიძისა.
მონაწილეობას მიიღებს მთელი ამხანაგობა.
**ადგილების ფასი 1—50 კ.-დან—10 კ.-მდე.**
**დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ საათზედ.**
მზადდება წარმოსადგენად „სად მიხვალ“?! წინამძღოლნი“.

## მუშტაიდის ბაღში კვირას, 24 მაისს, 1909 წ.

საზოგადოება „განათლება“ მართავს

## დიდს სეირნობას

1. გასართობები ბავშვებისათვის: შვილდისარი, ჯირითი ველოსიპედებით, კარუსელი და სხვა;

2. ბაზარი Boue de le chance, ვისია ყანწი, ბედის ჩარხი, სიუხვის ქვევრი, ყვავილები, კონფეტი, ტიროლელი მომღერალნი, სამხედრო მუსიკა და დუდუკი.

**დასაწყისი 2 საათზე.**

შესასვლელი ფასი 20 კაპ., ყმაწვილები 10 კ. (5—უ.—1)

**ქართულ სიტყვა კაზმულ მწერლობის საბჭო**
აცხადებს, რომ განზრახულ

## სალიტერატურო კრებულის

მასალების წარდგენისთვის უკანასკნელ ვადად დანიშნულია 15 ივნისი. მასალა უნდა წარუდგინოს საბჭოს მდივანს სვიმონ ყიფიანს. (5—უ—1)

გამოვიდა და იყიდება **წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში** ახალი წიგნი:

## საქართველოს სიძველენი

**ტომი მეორე**

## პალეოგრაფიულის ალბომით

**საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემული, ექვ. თაყაიშვილის რედაქტორობით.**

ეს წიგნი **უფასოდ დაეთმობა** საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ნამდვილ წევრებს, რომელთაც შემოუტანიათ 1908 წლის საწევრო გადასახადი (3 მან.). ასეთს წევრებს, ტფილისში მცხოვრებთ შეუძლიანთ მიიღონ წიგნი წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ხოლო ქალაქს გარედ მცხოვრებთ წიგნი ფოსტით გაეგზავნება. (10—1)

## მიიღება ხელის მოწერა

## დუტუ მეგრელის ნაწერებზე

**ორ წიგნად: 1) ლექსები, 2) მოთხრობები.**

თითო წიგნი იქნება ჩვეულებრივ ფორმატის 250—300 გვერდამდის და ეღირება (ორივე წიგნი) ხელის მომწერთათვის, ვინც ამ მაისის განმავლობაში გამოიწერს, ერთი მანეთი. წიგნების გამოსვლის შემდეგ, თუ დარჩა გასასყიდად, ფასი გადიდებული იქნება. ფული უნდა გამოიგზავნოს „დროების“ რედაქციის სახელზე ტფილისში ან გადაეცეს წ.-კ. საზოგადოების მაღაზიაში ბ. შიო ქუჩუკაშვილს. ქუთაისში ხელის მოწერა მიიღება ბ. თომა მთავრიშვილთან.

**ავტორი-გამომცემელი სთხოვს თანამგრძნობთ,**

საქმის დასაჩქარებლად, მიიღონ თავისს თავზე ნაცნობთა შორის ხელის მოწერის გამართვა და შეკრებილი ფული, რაც შეიძლება მალე, ხელის მომწერთა სიასთან ერთად გამოგზავნონ აღნიშნულ ადრესით. ხელის მოწერით შემოსულ ფულის რაოდენობა გამოცხადდება ხოლმე გაზეთ „დროება“-ში. გამოცემის ხრული ანგარიში და ხელის მომწერთა სია კი ერთ-ერთ გამოცემულ წიგნში. (10—უ.—5)

უკვე დაიბეჭდა ცალკე წიგნად და გასასყიდად დაურიგდებათ წიგნის მაღაზიებს

**ვასილ ყიფიანის**

ორიგინალური ისტორიული დრამა ხუთ მოქმედებად

## სამეგრელოს მთავარი ლევან

**ფასი 40 კაპ.**

ტფილისს გარედ მცხოვრებთ, ვინც გაზეთ „დროების“ კანტორიდან დაიბარებს წიგნს, გასაგზავნი ფული არ გადახდებათ.

ახლად გახსნილი

**ტფილისის**

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. **ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. **ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ბ. ა. **პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

გ. მ. **მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

ა. ნ. **დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. **მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. **გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. [illegible]

ვ. ს. **მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**საღამოთი.**

ა. გ. **მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ნ. გ. **ქიქინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—63)

## ექიმები

კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი**

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოლონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—147)

## ექიმი

კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

## ექიმი

ქუთაისში **ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

## ექიმი

**მ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—80)

## ექიმი

**ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

## ექიმი

**ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში აქიმობს ყოველ ნაირ ჭლექით ავადმყოფებს ხორცსა და კან შუა შესასხამ წამლით **ტუბერკულინით**. ტფილისის ქუჩა, სახლი თ. ნიჟარაძისა. (12—ნ.—4)

## ექიმი

**ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. გოროჩნი, N 9. (უ)

## ექიმი

**ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

## ექიმი

**ა. დიასამიძე** სადგომის გამოცვლის გამო 25 მაისამდე სახლში ავადმყოფებს არ მიიღებს; ავადმყოფებს გასინჯავს მხოლოდ „სამკურნალოში“ ვოგზლის ქუჩაზე N 8, შუადღის 12—2-მდე.

## კაბინეტი

ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 65)

## ე. ალმაზოვის

ქალთა პროფესიონალურ სასწავლებელში 20-დან 25 მაისამდე მოხდება მოწაფეთა ნაკერების გამოფენა და გაყიდვა. გამოფენის დათვალიერება უფასოა. მსურველს შეუძლიან დაათვალიეროს ყოველ დღე, დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 4 ს. 7 საათამდე.

ადრესი: ნემეცების ქ., N 3, (1—უ.—1)

## ექიმი

კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ამ დღეებში**

## იხსნება

სასახლის ქუჩაზე, ქართველ თავად-აზნაურთა სახლის ბაღში (ბანკის ბაღი)

## ბაღი

## რესტორანი

**ამხ—ს „იუჟანკე“.**

ბაღში დაუკრავს საოპერო ორკესტრი ბ-ნ ფალიაშვილის დირიჟორობით დღისით 2—4 ს., საღამოთი 9-დან ნაშუაღამევის 2 საათამდე. (3—267—3)

## მარგანეცის მრეწველთა შავი-ქვის ამხანაგობის

გამგეობა იწვევს ამ ამხანაგობის წევრებს, თანახმად ამხანაგობის წესდების მე 24 მუხლისა, საზოგადო კრებაზედ, რომელიც მოხდება ს. ჭიათურაში, თეატრის დარბაზში, ოთხშაბათს, მაისის 27.

**განსახილველი საგნები:**

1. ამხანაგობის დამოკიდებულების მოსპობა ბერლინის მარგან-სინდიკატთან.

2. ამხანაგთა შორის საურთიერთო ანგარიშის გამორკვევა.

3. ამხანაგობის ქონების დანაწილება. (6—ნ.—6)

**გამგეობა საზოგადოებისა**

## „განათლება“

ამით აცხადებს, რომ მის ქალთა პროგიმნაზიაში გამოცდა მისაღებად პირველ სამ მოსამზადებელ განყოფილებებში და პროგიმნაზიულ 1 და 2 კლასში დანიშნულია 26, 27 და 28 მაისისთვის.

სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 6. (3—უ.—2)

## დაბა სამტრედიაში

კვირას, 31 მაისს, „ედემის“ ბაღში, გაიმართება

## სეირნობა ლატა-რია-ალეგრით

**ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების სასარგებლოდ.**

ლატარია-ალეგრის მოწყობისთვის მიიღება ყოველნაირი შემოწირულება ნივთად თუ ფულად დიდის მადლობით შემდეგ პირებთან: დაბა სამტრედიაში: მ. ა. გლადკოვისასთან, რაჟდენ ნანეიშვილთან და ი. სიხარულიძესთან; კულაშში—ქ. ლ. მამფორიას ასულთან და საჯილაოში—ნ. კორძაიასასთან.

გამგე სეირნობა ლატარია-ალეგრისა **მ. ა. გლადკოვისა.** თავმჯდ. განყოფილებისა **გ. სიხარულიძე.** (5—ნ.—4)


## ტფილისი, 20 მაისი

ზაფხულის პირში ყოველ წელს ქართულ საზოგადოებრივ დაწესებულებათა წევრების მორიგი წლიური კრება იმართება. წელსაც მომდინარე მაისის ბოლო რიცხვებში გაიმართება ჯერ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრება და შემდეგ თავად-აზნაურობის ჩვეულებრივი კრება. როგორც ჩვენს მკითხველებს ეცოდინებათ, წესდების ძალით ტფილისის ბანკის წმინდა მოგების ნახევარი ყოველ წელს გადაეცემა ხოლმე თავად-აზნაურობას, რომელიც ამ ფულს სხვა-და-სხვა საჭიროებაზე ჰხარჯავს. როგორც წინადაც აგვინიშნავს გაზეთის ფურცლებზე, ქართული კულტურული და განმანათლებელი საზოგადოებანი თავად-აზნაურობისაგან ხშირად უხვს დახმარებას იღებენ თავის საქმეთა საწარმოებლად და იმიტომ იმაზე, თუ როგორ გაანაწილებს თავად-აზნაურობა ბანკიდან მიღებულ ფულს, ბევრი რამ არის დამოკიდებული ჩვენს ცხოვრებაში. უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ გარდა ბანკის მოგების ნახევრის თავად-აზნაურობას ხაზინიდან 1901 წლის შემდეგ ყოველ წელს ოცი ათასი მანეთი ეძლევა, რომელიც აგრეთვე მის სრულ განკარგულებაში იმყოფება. ორთა შუა რიცხვით თავად-აზნაურობის ხელში ყოველ წელს 150 ათას მანათამდე ფული გროვდება და ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ იმის წლიურ კრებას, რომელიც ამ ფულის მოხმარებაზე ბჭობს და გადაწყვეტილებებს მიიღებს, საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვთ ბევრ ქართულ საქმისთვის.

მოვიგონოთ, რომ თავად-აზნაურობა ზემოხსენებულ ფულიდან ყოველ წლის ორს, სამს და ხან ოთხ ათას მანათს აძლევს ქართულ დრამატიულ საზოგადოებას, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და თითქმის ას ათას მანათს სათავად-აზნაურო გიმნაზიას. გარდა ამისა გულ უხვ შემწეობას აძლევს იგი სხვა დაწესებულებებსაც; შარშან მაგალითად 5000 მანათი გადასდო მან წინამძღვარიანთ კარის სკოლისთვის, 1000 მან. ქართულ ისტორიულ და ეთნოგრაფიულ საზოგადოებისთვის და სხვა. ამ მცირეოდენის ცნობებიდანაც აშკარად სჩანს, რომ ჩვენი თავად-აზნაურობის გავლენა ქართულ საქმეებზე ამ ჟამად იმის განკარგულებაში არსებულ ფულებისაგან წარმოსდგება, და რა თქმა უნდა დიდი მნიშვნელობა აქვს, რა პოლიტიკას დაუდებს იგი სარჩულად ფულის განაწილებას სხვა-და-სხვა საქმეთა შორის.

ორი წლის წინად, ერთის მხრივ გლეხობის აგრარულ მოძრაობის გავლენით, ხოლო მეორეს მხრივ, მთავრობის სხვა-და-სხვა დაწესებულებათა მოქმედებაში გამოხატულ ტენდენციის გამო, განსაზღვრული მიმართულება მისცემოდა ამიერ-კავკასიაში მიწის მობილიზაციას, ტფილისის თავად-აზნაურობა ასცდა რაოდენადმე თავის წინანდელ ქველმოქმედურ ხასიათის პოლიტიკას და მოღვაწეობის ერთ-ერთ მიზნად აღიარა შერჩენა მამუ-დედულისა ტფილისის გუბერნიაში, ადგილობრივ მკვიდრთა ხელში. ამ განზრახვით დაარსებულ იქმნა უკვე საკმაოდ ცნობილი საადგილ-მამულო კომისია დეპუტატთა საკრებულოსთან, რომელსაც თუმცა ძლიერ ცოტა, მაგრამ მაინც კი მიეცა ფული აღნიშნულ მიმართულების ხაზზე მოქმედების გასავითარებლად. ამ გვარად ტფილისის თავად-აზნაურობამ თავის წინანდელ მოქმედებას, სასკოლო და განმანათლებელ საქმეთა წარმართებისკენ მიმართულს, გვერდში ამოუყენა ისეთი მოქმედებაც, რომელიც ტფილისის გუბერნიის მკვიდრთა ეკონომიურ კეთილდღეობას შეეხება. მართალია, ეკონომიურ ხასიათის საქმეებზე თავადაზნაურობა წინადაც სცდილობდა თავის გავლენის გავრცელებას, მაგრამ მხოლოდ ამ ორი წლის წინად მიიღო ამ მეცადინეობამ რეგულიარულ და სისტემატიურ მოქმედების ფორმა. მართალია ისიც, რომ ეკონომიურ ინტერესებისკენ მიმართულს მოქმედებას ჯერ-ჯერობით მეტად სუსტი, მეტად მცირე ადგილი უჭირავს როგორც ხარჯთ-აღრიცხვის ფურცელში, აგრეთვე თვით მოქმედებაში, მაგრამ ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ თანდათან იგი თანაბარ ადგილს დაიკავებს სასკოლო და განმანათლებელ საქმეებზე მზრუნველობასთან. ამას მოითხოვს ქართველ მემამულეთა საკუთარი, თუ გნებავთ, კლასსური ინტერესი, რომელიც ჯერ-ჯერობით პოლიტიკურ პირობების გავლენით ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართველ მშრომელ ხალხის ინტერესებთან, რომ მხოლოდ გულმოდგინე დაკვირვებას შეუძლიან დაინახოს აქ თავადაზნაურობის სპეციალური კლასსური პოლიტიკა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ რაც ხანი გავა და რაც უფრო ფართოდ გასწევს ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობა თავის გავლენას ეკონომიურ ცხოვრების მიმდინარეობაზე, მით უფრო და უფრო ნათლად გამოისახებიან, ერთის მხრივ, ის წერტილები, სადაც ჩვენი მემამულეების და გლეხობის ინტერესები მეგობრულად ჰხვდებიან ერთმანეთს, და მეორეს მხრივ ის წერტილები, სადაც ისინი უპირისპირდებიან ერთმანეთს, როგორც მოწინააღმდეგენი. ჩვენი აზრის საილლუსტრაციოთ აღვნიშნავთ შემდეგს მაგალითს. საგლეხო ბანკის ტფილისის განყოფილება სხვა და სხვა მოსაზრებით, რომელიც მას ჯერ საჯაროდ არსად გამოუთქვამს, სცდილობს შეაჩეროს მიწების ფასის ზრდა და ზოგჯერ დააფოლოს კიდეც. ეს თავადაზნაურ მემამულეთა ინტერესებისთვის მეტად საგრძნობელი მატერიალური დასაკლისია და, პირიქით, ასეთი პოლიტიკა სასარგებლო უნდა იყოს გლეხობისთვის. მაგრამ ამ საწინააღმდეგო ინტერესებზე მაღლა სდგება სხვა ხასიათის ინტერესი, რომელიც ამ წინააღ- [illegible] შინაურ ბაზარზე ფასების დაცემისა გამო სხვაგან ეძებს თავის მიწისთვის მუშტარს და ამ გვარად სჩნდება ხიფათი, რომ მიწა ხელიდან გამოეცლება ქართველ მემამულესაც და ქართველ გლეხსაც. ამ ხიფათის თავიდან მოსაშორებლად თითქოს მემამულეების და გლეხების საერთო ინტერესი მოითხოვს მეცადინეობას, რომ საგლეხო ბანკმა თავი დაანებოს მიწების ფასის დაფოლებას. ამ მაგალითზე ცხადად სჩანს, რა უცნაურად არიან გადახლართული ერთმანეთზე გლეხობის და მემამულეების ინტერესები. ჩვენის ფიქრით, ინტერესთა ამ გვარ ხლართში, ვიდრე სრული ნათელი მოეფინება საქმეთა მდგომარეობას, თავად-აზნაურობა სრულიად ინსტინქტიურად გადაჰხრის სასწორს თავის მხარეზე და შეიძლება მან თავისი საკუთარი ინტერესები ქართველ ხალხის საერთო ინტერესების სამოსელში გაახვიოს. მაგრამ რაც უფრო მეტად და ნათლად გამოირკვევა მდგომარეობა, მით უფრო ადვილი დასანახი იქნება, რომ აქ ნაციონალური ტენდენციები არაფერ შუაში არიან და საქმე პირდაპირ ეკონომიურ ხასიათის ინტერესთა წინააღმდეგობასთან გვაქვს. სულ სხვა ხასიათი და მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკის და კულტურის ამაღლებას. ამ ნიადაგზე ჯერ კიდევ დიდს ხანს არავითარმა კლასსურმა წინააღმდეგობამ არ შეიძლება იჩინოს თავი. აქ გლეხობის და მემამულეების ინტერესები ერთს ხაზზე სდგანან. შეიძლება სხვა და სხვა მიზეზისა გამო, შეიძლება საწინააღმდეგო მიზნებისთვისაც კი, მაგრამ მაინც ორივე მხარის ინტერესი მოითხოვს, რაც შეიძლება მაღლა აიწიოს სამეურნეო ტეხნიკა და კულტურა.

სახალხო განათლებისკენ მიმართული ქველ-მოქმედება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობისა შინაარსით წოდებრივ და კლასსიურ ინტერესების გარეშე შეიძლება ვიგულისხმოთ, მაგრამ არსებითად კი იმას თითქმის მარტოოდენ თავად-აზნაურთათვის მოაქვს სარგებლობა. მოვიგონოთ თუნდ სათავად-აზნაურო გიმნაზია, სადაც ორიოდეს გარდა თავად-აზნაურთა შვილები იზრდებიან. ეკონომიურ კეთილდღეობისაკენ მიმართული მოქმედება კი ზოგგან შეიძლება შინაარსით მემამულეთა კლასსურ ინტერესებს ემსახურებოდეს, მაგრამ ზოგგან შინაარსითაც და არსებითადაც მთელის ერის, ხოლო განსაკუთრებით კი იმის მშრომელ ნაწილის ინ-

ტერესების დაკმაყოფილებას წარმოადგენს. ჩვენ სამარცხვინოდ არ მიგვაჩნია, რომ რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფი თავის კლასსურ ინტერესებზე ზრუნავდეს. არც თავად-აზნაურობას შევქიძლიან ვუსაყვედუროთ, რატომ მეცადინეობს იგი თავის სასარგებლოდ. ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. მაგრამ ვინც გონივრულად აწარმოებს თავის კლასსურ პოლიტიკას, ის ამასთანავე ერთად იძულებულია ხშირად ფართო მზრუნველობა გამოიჩინოს მთელის ხალხის საერთო ინტერესებისათვისაც. რა თქმა უნდა, ჩვენ განსაკუთრებით დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ სწორედ ამ უკანასკნელ ხასიათის მოქმედებას. ერთის თვის წინად თავად-აზნაურობამ დაადგინა აღადგინოს სასოფლო-სამეურნეო თანხა, რომლის დანიშნულებაც სამეურნეო ტეხნიკის და კულტურის დაწინაურებაა. ეხლა, ამ წლის კრებებზე, პირველად უნდა შეეხას ხორცი ამ დადგენილებას: უნდა გადაიდოს განსაზღვრული ნაწილი თავად-აზნაურობის მთელის შემოსავლისა სამეურნეო თანხისათვის. ეს კი სხვა წინანდელ ხარჯების შემცირებას გამოიწვევს. თავად-აზნაურთა წლევანდელ კრების უპირველესი ინტერესიც სწორედ აქა სძევს.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 მაისი

## სპარსეთი

**თავრიზი.** სოუდ-ბულახში შევიდა ბაიაზიდ-აღა 1500 ქურთით. დაჟინებით ამბობენ, რომ ამ ქურთებთან ერთად ოსმალეთის ჯარიც მოვიდაო.

ადერბეიჯანის გენერალ-გუბერნატორად ენჯუმენი ასახელებს შაჰის ძმას, პრინც შოუს-სალტანეს.

ურმიაში მივიდა კონსულის ფოსტა. ორი თვეა, რაც ფოსტა აღარ მისულა.

**პეტერბურგი.** რუსეთის საგენერალო საკონსულოს მმართველის 14 მაისის დეპეშა: „თავრიზელმა რუსეთის ქვეშევრდომებმა, სომეხთა სარევოლიუციო პარტიის „დაშნაკციუთიუნის“ წევრებმა ენევაში გა-[illegible] ებიან რუსის ჯარის მოქმედებას. დეპეშში მოყვანილი ფაქტები გამოგონილია. რუსის ჯარი კარგად იქცევა.“

**თავრიზი.** ადგილობრივ ვიცე-გუბერნატორს იჯალ-მულკს ისე ეშინიან სათარ-ხანისა და ბაგირ-ხანისა, რომ მცხოვრებთათვის იარაღი ვერ აუყრია. ზოგიერთ უბანში ხელ-ახლა გაჩნდნენ შეიარაღებული რევოლიუციონერები. სათარ-ხანის და ბაგირ-ხანის სახლებში კვლავინდებურად იარაღია. ხოკმაბის უბანში რევოლიუციონერებს ერთმანეთში შეტაკება მოუვიდათ. ამ უბანში რუსის ჯარის რაზმი გაიგზავნა. რაზმმა დაანგრია რამდენიმე ბარიკადა და წამოიღო ბევრი იარაღი. რუსის ჯარის ასეთმა მოქმედებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

**თეირანი.** საარჩევნო კანონი პროვინციის ენჯუმენებს დაეგზავნათ გადასასინჯად. ამ კანონით, სპარსეთის მეჯლისში 120 დეპუტატი იქნება. თეირანი აირჩევს 15 დეპუტატს, წინად კი 60 დეპუტატს ირჩევდა. არჩევნები ორ-ხარისხოვანია. დეპუტატს ქონებრივი ცენზი უნდა ჰქონდეს, ამასთან იგი წერა-კითხვის მცოდნე უნდა იყოს.

თეირანის გარნიზონის სალდათების ერთმა ნაწილმა ბესტს შეაფარა თავი. სალდათები ჯამაგირს თხოულობენ.

თეირანში დაბრუნდა ხოროსანის გენერალ-გუბერნატორი, პრინცი ნაირუდ-დოულე. იმის მოადგილედ დაინიშნა რუკნუდ-დოულე. მეტდირ-ულ-მულკი დაინიშნა ტფილისის საგენერალო კონსულად.

**თავრიზი.** გუშინ დააპატიმრეს ენჯუმენის წევრი, რუსეთის ქვეშევრდომი. ამის გამო სათარ-ხანმა და ბაგირ-ხანმა რამდენიმე თანამოაზრეებით ოსმალეთის საელჩოს შეაფარეს თავი.

საფრანგეთის საელჩოში გენერალ სნარსკის და რუსის ჯარის შტაბის პატივსაცემად საუზმე გამართეს.

**თავრიზი.** სათარ-ხანი და ბაგირ-ხანი, რომელთაც ოსმალეთის ბესტს შეაფარეს თავი, თავიანთ თანამოაზრეთა დახმარებით შეეცადნენ თავრიზის ბაზრის დაკეტვას. სათარ-ხანმა და ბაგირ-ხანმა თავიანთ თანამოაზრეების სურვილი განაცხადეს, ოსმალეთის ქვეშევრდომობას მივიღებთო. სათარ-ხანის მომხრენი ხმას ავრცელებენ, რომ ოსმალეთის ჯარი მარაგით და სოუნჯით თავრიზზე მოდისო. ნამდვილად კი რამდენიმე ათასი მამაშმანგერის თემის ქურთი სძარცვავს და იკლებს მიანბადს და სოუჯ-ბულახს.

## ოსმალეთი

**სალონიკი.** 5 ივლისს სალონიკში მოხდება „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტის კონგრესი. კომიტეტის ერთი წევრის სიტყვით, კონგრესზე განიხილავენ ამ უკანასკნელ დროის ამბებს, გამოარკვევენ საქმის ეხლანდელ ვითარებას შეეხებიან იმას, თუ როგორ შეუთანხმონ თავიანთი მოქმედებას, ეხლანდელ მდგომარეობას და შეიმუშავებენ ზომებს, თუ როგორ უზრუნველ ჰყონ კონსტიტუცია. კომიტეტი საიდუმლო საზოგადოებად მარტო სამხედრო პირებისთვის იქნება, არა სამხედრო პირთათვის კი პარტია ლეგალური იქნება. სპეციალური კომისია კომიტეტისა წესდებას ადგენს როგორც სამხედროებისთვის, ისე სხვათათვის. პარტიის პროგრამას გადაათვალიერებენ. კონგრესი შეეცდება, რომ თავის პროგრამაში რამდენადმე შეიტანოს დეცენტრალიზაციის პრინციპი, რომ ამით შეაჩეროს სეპარტისტული მოქმედება ზოგიერთ ერებისა, რომელნიც საოლქო თვითმმართველობისთვის იბრძვიან. პროგრამაში შეტანილი იქნება ზოგიერთა ერების პროგრამების მუხლები. ამათ უნდათ ამ ერთა წარმომადგენელნი ახალგაზრდა ოსმალთა პარტიაში მიიზიდონ.

**სტამბოლი.** ჯარსა და მეზღვაურებს წაუკითხეს სულთნის მანიფესტი. მანიფესტში სულთანი აქებს და იწონებს განმათავისუფლებელ ჯარის მოქმედებას.

მინისტრის ამხანაგთა შესახებ კანონ-პროექტი საბოლოოდ გადაეცა დეპუტატთა პალატას.

დააპატიმრეს უსკიუბის კომენდანტი ხილმი-ფაშა. იგი სამხედრო სამართალში მისცეს.

## საზღვარ-გარედ.

**კალკუტა** (ინდოეთი). სამხრეთ ინდოეთის რკინის გზებზე მოძრაობა შეწყვეტილია. მიზეზი—მადრასის რკინის გზის მუშების გაფიცვაა.

**პარიზი.** მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა, კერძო გემების პატრონებს წინადადება მისცეს, გაფიცულ მატროსების მაგიერ თავიანთ გემებზე სახელმწიფო სამსახურში მყოფი მატროსები ამუშავონ. ეს ზომა იმითია გამოწვეული, რომ სამინისტროს უნდა უზრუნველჰყოს საფრანგეთსა, კორსიკასა და ტუნისს შუა სამოგზაურო და საფოსტო მიმოსვლა.

**ფრიდრიხსჰაფენი.** 17 მაისს ცხრა ნახევ. საათზე, ფრიდრიხსჰაფენიდან აფრინდა ჰაეროსტატი „ცეპელინ მეორე“, 18 მაისს, დილის ექვს საათზე, ჰაეროსტატი ტრიხტლინგენის სამხრეთით იყო, დილის 9 ნახ. საათზე—ნიურენბერგთან; $10^1/_4$ საათზე—ბირეტთან. ჰაეროსტატი ჩრდილოეთისკენ მიფრინავს.

**ბერლინი.** ჰაეროსტატი „ცეპელინ მეორე“ $4^3/_4$ საათზე ლეიპციგთან იყო. ლეიპციგიდან ბერლინისკენ გაფრინდა.

**ფრიდრიხსჰაფენი.** ბიტერფელდიდან ჰაეროსტატ „ცეპელინ მეორედან“ შემდეგი დეპეშა მოვიდა: „ეს არის ეხლა გადავწყვიტეთ დავბრუნდეთ. საქმე კარგად მიდის“. დეპეშა გამოგზავნილია საღამოს 7 საათსა და 20 წუთზე.

**გეპინგენი** (გერმანია). ცეპელინის ჰაეროსტატი ქალაქის მახლობლად დაეჯახა ხეს. ჰაეროსტატის წინა ნაწილი ცოტათი დაზიანდა. ფრიდრიხსჰაფენიდან ტეხნიკოსები გაიგზავნენ. ტეხნიკოსი დაზიანებულ ნაწილს შეაკეთებენ.

ჰაეროსტატი ცუდ ადგილას ჩამოშვებულა. წინა ნაწილი იმდენად დაზიანებია, რომ ღამე გაფრენა უთვალად შეუძლებელია. ფრიდრიხსჰაფენიდან ტეხნიკოსები მივიდნენ.

**დალისი.** ტეხასში, ქალაქ ზეფირში დიდი ქარიშხალი ამოვარდა. 30 კაცზე მეტი დაიღუპა. ქარიშხალის შემდეგ ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლმა ქალაქს დიდი ზიანი მიაყენა.

## რუსეთი

**პეტერბურგი.** ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორს ბეკმანს უმაღლესად უბრძანა, გახსნას ფინლიანდიის ახლად მოწვეული სეიმი. 15 მაისს ხელმწიფე-იმპერატორმა დაამტკიცა სეიმის გახსნის ცერემონიალი.

დღე-ღამის განმავლობაში პეტერბურგში ხოლერით ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1.

სახელმწიფო სათათბიროს სწავლა-განათლების კომისიამ მიიღო კანონ-პროექტი საყოველთაო სწავლა-განათლების შესახებ.

შეკითხვათა კომისიამ სათათბიროს წარუდგინა შეკითხვა „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ შესახებ.

სათათბირომ დაადგინა, რომ ზამისლოვსკის ფორმალურის მხრივ არ შეეძლო ფული მიეღო საშობაო დღესასწაულების დროს მღვდელის მოვალეობის ასრულებისათვის, თუმცა კი საბუთი ჰქონდა ასე გაეგო სათათბიროს დადგენილება. სათათბიროს პირველ მაისის დადგენილების შემდეგ ასეთ შემთხვევას ადგილი აღარ ექნება.

**პეტერბურგი.** ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის თავმჯდომარეობით მოხდა უწყებათა-შორისი თათბირი. თათბირში მონაწილეობა მიიღეს ბირჟის კომიტეტების და სამრეწველო ორგანიზაციების წარმომადგენლებმაც. კრება განიხილავს მთავრობის კანონ-პროექტს სახაზინო ნავთიან ადგილების გაცემის შესახებ. მინისტრმა კრებას გააცნო სახაზინო ნავთიანის ადგილების ეხლანდელი მდგომარეობა. მინისტრის სიტყვის შემდეგ კანონ-პროექტის განხილვას შეუდგნენ.

**პარიზი.** გაზეთებს მაასოდან ატყობინებენ: რუსეთის მთავრობის მიერ შეკვეთილი ჰაეროსტატი „რუსეთი“ დაამთავრეს. გუშინ გასასინჯად ჰაეროსტატი აუშვეს. ჰაერში ფრენა ნახევარ საათს გაგრძელდა. კმაყოფილები დარჩნენ.

**პეტერბურგი.** საზღვარ-გარეთიდან დაბრუნდა გარეშე საქმეთა მინისტრი იზვოლსკი.

**ტულა.** ეფრემოვსკის ერობამ დაადგინა, დაარსოს მაზრის სამ ადგილს სასოფლო კურსები. კურსებზე გლეხებს ასწავლიან დურგლობას, მეუტკრეობას ზეინკლობას, მჭედლობას, აგრეთვე სოფლის მეურნეობას, მეფუტკრეობას და მებოსტნეობას. კურსების შესანახავად ერობა ყოველ-წლივ 48,300 მანეთს გაიღებს.

**ვარშავა.** პოლონეთის კულტურის საზოგადოებამ განიზრახა ვარშავაში გახსნას ქალთა გიმნაზია ვაჟთა გიმნაზიის პროგრამით.

**მოსკოვი.** საგუბერნიო სამმართველომ საერობო ხმოსანთა საარჩევნო სიიდან ამოშალა პირველ სათათბიროს ყოფილი თავმჯდომარე მურომცევი.

**კიევი.** სადგურზე გახსნეს ყუთი, რომელიც რკინის გზით მოვიდა. შიგ აღმოჩნდა კაცის გვამი. კაცი სულ ასოასო იყო დაჭრილი. ყუთი 28 იანვარს დონის-როსტოვიდან გამოეგზავნათ და კიევში 13 თებერვალს მოვიდა. ყუთი პატრონმა აღარ მოიკითხა. ეს იყო მიზეზი, რომ ყუთი გახსნეს.

**ლოძი.** დააპატიმრეს 4 კაცი. მათ პარტიულ ნიადაგზე მუშის მოკვლა ჰბრალდებოდათ

**პეტერბურგი.** უეცრად გარდაიცვალა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი პერგამენტი.

პეტერბურგის გრადონაჩალნიკის განკარგულებით, 500 მანეთით დააჯარიმეს ყოველკვირეულ ჟურნალ „კრაის“ რედაქტორი კუტილოვსკი. მიზეზი ის არის, რომ „კრაი“-ში დაიბეჭდა წერილი ამ სათაურით: „ახალგაზრდობა და მთავრობის სკოლები“.

პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა პროფ. სავიჩს ნება დართო, უნივერსიტეტის სადგომში სოფლის მასწავლებელთათვის დროებითი კურსები გახსნას. კურსები გაიხსნება 14 ივნისს და გათავდება 17 ივლისს.

**ლონდონი.** ლლოიდის სიტყვით, ავსტრიის გემ „გარდენიას“ ქალაქ სამხრეთ შილდში რუსეთის გემის „ზერიბის“ 8 მატროსი გადაურჩა. „ზერიბი“ ნახშირით დატვირთული ბლიტიდან ნორვეგიაში მიდიოდა და ჩრდილოეთ ზღვაში გემ „გარდენიას“ დაეჯახა. „ზერიბი“ დაიღუპა. „გარდენიას“ დაზიანდა.

## ქართულ ლიტერატურის მოსალოდნელი განახლება

(Н. Марръ: „Іоаннъ Петрицкій, Грузинскій Неоплатоникъ XI—XII вѣка“, с.-Пб. 1909)

(დასასრული *)

იოანნე პეტრიწის დიდი ამაგი მიუძღვის ქართულ ლიტერატურის წინაშეო,—ამბობს მარრი:—იმის წყალობით სავსე ფილოსოფიური ტერმინოლოგია არსებობს ქართულ ენაზე, რომელიც საოცარის სინამდვილით და სიმარტივით გადმოგვცემს ქართულ ენის სიტყვებით ისეთ ტერმინებს, რომლებიც ევროპიულ ენაზე ნასესხებია ან ბერძნულის ან ლათინურის ლექსიკონიდან. „უნდა შევნიშნოთ, ამბობს ნ. მარრი, რომ ეს სიმდიდრე ხელუხლებელ განძად როდი ყოფილა დაფლული, როცა საქართველოში საერო ლიტერატურა იყო აყვავებულიო.“

იოანნე პეტრიწის გავლენა ქართულ აზრის განახლებაზე, ქართულ ლიტერატურის აყვავებაზე უსაზღვროა და დიდებული. პეტრიწი ნეოპლატონიკი იყო. ნეოპლატონიკებიკი ძველი საბერძნეთისა და რომაულის ფილოსოფიისა და პოეზიის თაყვანისმცემელნი იყვნენ. „მათი სარწმუნოების წყარო ძველ პოეტთა სარწმუნოება იყო, და ეს სარწმუნოება იგულისხმებოდა იმ ღმერთების სახეში, რომელნიც საუკუნის სიყრმითა და სამარადისო მშვენიერებით სტკბებოდნენ, იგულისხმობდნენ საუკუნო სიმშვენიერეს და მსოფლიოს სამარადისო ნეტარებას. ამიტომაცაო, განაგრძობს ვენი ავტორი, ნეოპლატონიკები ქრისტიანებისაგან დამარცხებულ ძველის მითოლოგიის შესწავლას შეუდგნენ აღტაცებით და მის განახლებასა სცდილობდნენ. პეტრიწი ფრიად განსწავლული იყო საწარმართო მწერლობაში და საბერძნეთის ფილოსოფიაში, ღრმა ცოდნა ჰქონდა ძველის საბერძნეთის მითოლოგიისა და პოეზიისა. მან და მისმა მიმდევრებმა განუსაზღვრელი გავლენა იქონიეს ქართულ მწერლობაზე, განათავისუფლეს რა იგი საეკკლესიო მწერლობის ბორკილებისაგან, მისცეს მას საერო მიმართულება და ამით დაარსეს გარეშე ეკკლესიის გავლენისა სიტყვაკაზმული მწერლობა.

ამის წყალობით ქართველებმა გაიცნეს ძველი ბერძნულ-რომაული ლიტერატურა. და ბოლოს იმდენად გავრცელებული შეიქმნა ეს ძველი ლიტერატურა საქართველოში, რომ „ილიადას“ გმირების სახელს წამდაუწუმ ხმარობდნენ მწერლობაში. ნეოპლატონიურმა მოძღვრებამ გააფართოვა ქართულ საზოგადოების გონებრივი ჰორიზონტი; დაარღვია რელიგიურ-ნაციონალური კარ-ჩაკეტილობა და გაუადვილა ლიტერატურული ურთიერთობა მაჰმადიანთა ქვეყნებთან. ქართულ ლიტერატურის ამ განახლების ეპოქის შვილია **„ვეფხის ტყაოსანი“**. ბ-ნი მარრი ბრძანებს, რომ აქაც კი ეტყობა კვალი ნეოპლატონიკობისა და სჩანს, რომ ავტორი იცნობდა ნეოპლატონიკთა ნაწარმოებებსაო.

იოანნე პეტრიწის დახასიათების დასამთავრებლად გადმოვბეჭდავთ ერთ ადგილს, რომელიც ბ-ნ მარრს მოჰყავს თავისს დიდმნიშვნელოვან შრომაში. ეს არის წერილი ფილოსოფოსის **იტალის**, „რომელიც იყო მეთერთმეტე საუკუნის დასასრულის ბიზანტიის ფილოსოფიურ აზრის გამომსახველი.“ ეს **იტალი** დევნილი იყო, ვითა ერეტიკოსი, იმ დროის ობსკურანტებისაგან და წერილი მიმართულია ერთ-ერთ ქართულ მეცნიერ მწერალის მიმართ. ბ-ნი მარრი ამბობს, შესაძლოა ეს იოანნე პეტრიწიც იყოო. **იტალი** სწერს ამ ქართველს:

„შენ შესახებ რაც კი გამიგონია ამ ცოტა ხანში, უმეცნიერესო, მიმტკიცებს შენს ჩემთან განწყობილებასა და შენს გულითად მეგობრობას. კარგად ვიცოდი ყოველთვის, რომ შენ მარადის ჩემთვის იღვწოდი, ხმა მაღლად ყველგან მაქებდი და (ჩემის აზრების) მქადაგებლად გამოდიოდი. ის რაც ეხლა გავიგე, მარწმუნებს კიდევ ერთხელ, რომ არ გამოცვლილხარ, არამედ ისევ ისეთი ხარ, როგორსაც გიცნობდი დიდი ხანია და როგორადაც ეხლა მიმაჩნიხარ. რას არ იტყვის შენის მეგობრების შესახებ შენი მეგობრობით აღზნებული და გულწრფელის განწყობილებით აღსავსე გული. მეც ისეთივე დავრჩი შენის აზრის გამომრკვეველი, შენის მეგობრობის დამცველი. სხვები კი სხვაგვარად გვეპყრობიან, რადგაც სოფისტები არიან და სიმართლეს მოკლებულნი. შენ თვითონ იცი, რისი თქმაც მინდა და კარგად იცი, რაშიაც არის საქმე“.

ეს წერილი ამტკიცებს თუ რა დიად ბუნების კაცი იყო პეტრიწი, რა მტკიცე აზრისა და მიმართულების, რა სახელოვანი მეგობარი და ერთგული კაცი... თუმცა დ ნამდვილებით არ ითქმის, რომ ეს წერილი პეტრიწს ეხებოდეს, მაგრამ რაც მას შემდეგ ბ-ნმა მარრმა გვამცნო, ყველაფერი გვეუბნება, რომ ეს მარტო და მხოლოდ იმას უნდა ეხებოდეს. თუ ეს ასე არ არის, მაინც ჩვენდა სასახელოდ ეს „ბედისაგან დაჩაგრული“ უებრო მეგობარი—ქართველი ფილოსოფოსი იყო მე-10 და მე-11 საუკუნეშიო,—ასე ამთავრებს პროფესსორი მარრი თავისს შრომას.—ფილოსოფიაში ქართველებს იგივე საგნები აინტერესებდა, რასაც ეტანებოდა მაშინდელის აღმოსავლეთის და დასავლეთის საქრისტიანო ქვეყნების მოწინავე საზოგადოება. განსხვავება კი იმაში იყო, მაგ., ევროპიელებსა და ქართველებს შორის, რომ სხვებზე უფრო ადრე ქართველებში პოულობდნენ თანაგრძნობასა და ნიადაგს ფილოსოფიურ აზრის ახალი მიმართულებები და ქართველი ფილოსოფოსები შრომობდნენ, მეცადინეობდნენ და სთარგმნიდნენ ბერძნულ დედნებს მაშინდელ დროისათვის სამაგალითო ტექსტის კრიტიკის უნარით შეიარაღებულნი“.

ბ-ნ მარრს ორი ფრიად-დიდმნიშვნელოვანი შრომა („ქართველი ოდის მწერლები მე-12 ს. *) და ეს ზემოხსენებული იოანნე პეტრიწის შესახებ) როგორღაც მაუწყებელია ჩვენის ლიტერატურულის გემოვნების განახლებისა. ვინც კი თვალყურს ადევნებს ჩვენს ცხოვრებას, დაინახეს, რომ საოცრად გაიღვიძა ინტერესმა ქართულის ოქროს ხანის ლიტერატურისადმი. ეს კი გვიქადის უეჭველად ჩვენის ლიტერატურის განახლებასა და აღორძინებას. მე არ მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ძველ ფორმებს დაუბრუნდებით, მაგრამ ჩვენის ლიტერატურის დიდებულ ხანაში მიპოვება ქართველი ერის სულის უკვდავების საუკუნო ძეგლი, რომელსაც „ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს“. იგი დაუშრეტელი წყაროა ქართულ ლიტერატურისათვის და ჩვენმა მწერლებმა ისე კალამი არ უნდა აიღონ ხელში, თუ ამ უკვდავების წყაროთი შუბლს არ გაიგრილებენ და გულს არ დაიამებენ. გარეშე ამისა, ჩვენი ლიტერატორები მაინკენობის როლს ვერ წაუვლიან და ჩვენი ლიტერატურა ყოველთვის უსისხლხორცო ჩონჩხი იქმნება.

**კიტა აბაშიძე.**

*) გამიგონია, ბ. მარრს აზრადა აქვს «ვეფხის ტყაოსანიც» ამგვარად გამოსცეს. ეს იქნება დაუვიწყარი და დაუფასებელი ღვაწლი იმ ერისათვის, რომლის თავმოსაწონებელ შვილიც იგია. თუ მივიღებთ ზემოხსენებულ გაღვიძებულ წყურვილს ჩვენის მწერლობისას მე-XII ს. მწერლობისადმი, რაც უფრო მალე გამოვა ესეთი შრომა, მით უფრო საჭირო და სასურველი იქნება იგი.

*) იხ. „დროება“, N 107.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **კახეთის რკინის გზის საქმე.** ორშაბათს, 16 მაისს, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საკრებულოში, მარშლის თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილის თაოსნობით, მოხდა თავად-აზნაურთა კერძო თათბირი. ინჟენერებმა თავ. ანდრონიკაშვილმა და თავ. ჩოლოყაშვილმა წარუდგინეს კრებას მოხსენება კახეთის რკინის გზის საქმის მდგომარეობის შესახებ. როგორც მკითხველებმა იციან, თავ. ჩოლოყაშვილს და ანდრონიკაშვილს თავად-აზნაურობამ დაავალა კონცესიის საქმის წარმოება. როგორც მათ მოხსენებიდან აღმოჩნდა, კონცესია თუმცა ჯერ არ მიუღიათ, მაგრამ დიდი იმედი კი აქვთ, რომ მიიღებენ. თუ ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზის შესახებ შევიტანეთ განცხადება, არავითარი დაბრკოლება არ იქნება, მთავრობა განცხადების მიღებისთანავე ნებას დაგვრთავსო, ხოლო თუ ფართო ლიანდაგიანი გზა იქნება, საჭიროა კიდევ დამატებითი გამოკვლევანიო. პეტერბურგში მოუთხოვნიათ, თავ. ჩოლოყაშვილმა და თავ. ანდრონიკაშვილმა სამი თვის განმავლობაში წარადგინონ უფრო დაწვრილებითი გამოკვლევანი (თუ ფართო ლიანდაგიანი უნდათ) გზის გამოკვლევისათვის ჩოლოყაშვილს და ანდრონიკაშვილს მოულაპარაკნიათ ცნობილ ინჟენერ ანდრიანოვთან, რომელსაც თანხმობა განუცხადებია. დამატებით გამოკვლევისთვის საჭიროა 30,000 მანეთი. ეხლა კი მუშაობის დაწყებისთვის საჭიროა 5,000 მ. თუ ეს ფული გაიგზავნა, ანდრიანოვი ჩამოვა და მუშაობას შეუდგება. კერძო თათბირზე უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ იმის გადაწყვეტა, გაიგზავნოს თუ არა ფული, მომავალ საგუბერნიო კრების საქმეაო. ჩოლოყაშვილსა და ანდრონიკაშვილს განუცხადებიათ, რომ გაზეთების ცნობა, ვითომ კონცესია თავად-აზნაურობას სახელზე იქნება, სიმართლეს მოკლებულია, კონცესია ჩვენს სახელზე იქნებაო.

✦ **ყვირილის საქმე.** 11-17 მაისს ქუთაისში კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოს სესიამ განიხილა ეგრედ წოდებული „ყვირილის რესპუბლიკის“ და ყვირილის ხაზინიდან ფულის გატაცების საქმე. საქმე ხალხის დაუსწრებლად გაირჩა. როგორც ვწერდით, ეს საქმე მეორედ გაირჩა, სენატის გადაწყვეტილებისამებრ. სასამართლომ დაამტკიცა წინანდელი განაჩენი და ხოლო სასჯელი შეუცვალა ზოგიერთ პირებს: ქარსიძეს 8 წლის კატორგის ნაცვლად მიესაჯა 20 წლით კატორგა, პავლე საყვარელიძეს 6 წლის კატორგის ნაცვლად 4 წლით, ხოლო სიმონ ჟღენტი უდანაშაულოდ იცნეს და გაამართლეს.

✦ **სამოსწავლო ოლქის მზრუნველი.** „კასპი“ პეტერბურგიდან ატყობინებენ: „ხმა დადის, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი რუდოლფი თანამდებობას თავს ანებებსო“.

✦ **გიმნაზია საჩხერეში.** როგორც ვწერდით, საჩხერეში განზრახულია დაარსდეს ვაჟთა გიმნაზია აკაკის სახელობაზე. ინიციატორები ბევრს მეცადინეობენ ეს საქმე განახორციელონ. კომიტეტს უთხოვნია ადგილობრივ შეძლებულ მემამულის კნ. ელისაბედ წერეთლისთვის, უსასყიდლოდ დაუთმოს საჩხერის ხიდის მახლობლად შენობისთვის ადგილი.

✦ **სამეურნეო საზოგადოების კრება.** კვირას, 17 მაისს, თავ. პ. ა. გრუზინსკის თავმჯდომარეობით, მოხდა წლიური საზოგადო კრება კავკ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა. კრებამ დაამტკიცა საზოგადოების 1908 წლის მოქმედების ანგარიში და მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. წელს საზოგადოების ხარჯი ნავარაუდევია 17000 მ. კრებამ ორიოდე მოხსენებაც განიხილა.

✦ **საკუთარი შენობები სკოლებისთვის.** ტფ. ქალაქის გამგეობამ შეადგინა მოხსენება და 21 მაისს ქალაქის საბჭოს წარუდგენს განსახილველად. გამგეობა თხოულობს, დაარსდეს განსაკუთრებული საამშენებლო კომისია, რომლის უმთავრესი დანიშნულებაც იქნება ქალაქის სასწავლებელთათვის საკუთარ შენობების აგება.

✦ **თავ. ჭიჭიკო ერისთავის მოკვლა.** როგორც გვატყობინებენ, 17 მაისს სოფ. კნოლევში მოუკლავთ თავ. ჭიჭიკო ერისთავი.

✦ **ცეცხლი ოზურგეთში.** ოზურგეთში სასულიერო სასწავლებლის შენობას ცეცხლი გაჩენია და შენობა სულ ერთიან გადამწვარა. სახლი დაზღვეული ყოფილა.

✦ **„საქართველოს სიძველენი“.** გამოვიდა ახალი წიგნი: „საქართველოს სიძველენი“, ტომი II ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. წიგნი გამოცემულია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ. ამ წიგნში მოთავსებულია 509 სიგელ-გუჯარი და სხვა აქტები მეთერთმეტე საუკუნიდან მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე. წიგნი 600 გვერდისაგან შესდგება, დიდი ფორმატისაა და დართული აქვს პალეოგრაფიული ალბომი. ამ ალბომში მოთავსებულია რამდენიმე ხელთ-ნაწერი იმ სახით, როგორც მათ ჩვენ დრომდე მოუღწევიათ. წიგნი ღირს 3 მა. 50 კაპ.

✦ **ახალი გაზეთი.** ორშაბათს, კ. თუმანიშვილის რედაქტორობით, გამოვიდა ახალი ყოველ-კვირეული (ორშაბათის) რუსული გაზეთი „ნოვი ტიფლის“ (ახალი ტფილისი).

✦ **„ღალატი“.** ღღეს ქართველ მსახიობთა ამხანაგობა ზუბალაშვილი'ს სახალხო სახლში წარმოადგენს ა. სუმბათაშვილის ცნობილ დრამას „ღალატს“. ფასები დაკლებულია.

✦ **უპატენტოდ ღვინის ვაჭრობა.** 18 მაისს პოლიციამ არხივნი ქუჩაზე აღმოაჩინეს უპატენტოდ ღვინის ვაჭრობა. ვაჭრობდა პავლე ნადიროვი. იპოვნეს 885 ვედრო ღვინო. ნადიროვი სამართალში.

✦ **გადასახადი პროჟექტორებზე.** ტფ. ქალაქის გამგეობამ განიხილა მოხსენება საბჭოს მდივნის მ. ჯაბარისა — პროჟექტორებს განსაკუთრებული გადასახადი გაეწეროთ და ეს ფული ქალაქის სახალხო სახლს მოხმარდეს. გამგეობამ დაადგინა გამოითხოვოს ნება-რთვა ქალაქის საბჭოსაგან ამ საკითხის შესახებ სათანადო მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღსაძვრელად.

✦ **სამეტეოროლოგიო სადგური ილბუზზე.** პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, კავკასიის სამთო საზოგადოება ილბუზზე სამეტეოროლოგიო სადგურს აგებს. მუშაობას უკვე შესდგომიან.

✦ **სატუსაღოს უფროსის დაპატიმრება.** დაატუსაღეს ბაქოს სატუსაღოს უფროსი ვალიევი. ვალიევს სხვა და სხვა ბოროტმოქმედება ჰბრალდება.

✦ **ქალაქის საბჭო.** ხვალ, 21 მაისს, საღამოსთვის დანიშნულია მორიგი კრება ტფ. ქალაქის საბჭოსი. სხვათა შორის საბჭოს განსახილველად წარედგინება გუბერნატორის წინადადება პოლიციის მოხელეთათვის ახალ სისტემის იარაღის შესაძენად 42,000 მანეთის გადადების შესახებ.

✦ **გაძლიერებული წესები ბაქოში.** ბაქოში განსაკუთრებული წესები ექვსი თვით განაგრძეს 1909 წლის 6 დეკემბრამდის.

✦ **მთელი სოფლის გადასახლება.** დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს: „თერგის ოლქში, ნაზრანის ნაწილში, როდესაც სურხოხის მახლობლად, ინგუშებს იარაღს ართმევდნენ, ჯარმა მოჰკლა ორი ინგუში, რომელთაც ჯარს სროლა დაუწყეს. ნამესტნიკის ბრძანებით, მთელი სოფელი აპიევი, 60 კომლი, ნაზრანის ოლქიდან გროზნის ოლქში გადაასახლეს. ჯარმა გაანადგურა ალიევის სახლი, სადაც ჯარმა მოასწრო ყაჩაღების ბრბოს. სროლის დროს მოჰკლეს სამი ყაჩაღი, მათ შორის ბრბოს მეთაური ბეკ-სულთან გაკიევი, ორიც დასჭრეს. ჯარს მოუკლეს ორი ყაზახი და დასჭრეს ერთი. ზელიმ-ხანის ბრბო სროლაში მონაწილეობა'ს არ იღებდა.

✦ **დაპატიმრება.** 16 მაისს პოლიციამ დააპატიმრა სომხურ გაზეთის „ანაგას“ რედაქტორად ნამყოფი აზგარ ტერ-აბრამოვი. ტერ-აბრამოვს სასამართლომ ერთი წლით დაპატიმრება გადაუწყვიტა, მაგრამ იგი იმალებოდა. ამავე დღეს პოლიციამ დააპატიმრა გორის მაზრის მცხოვრები დავით ბოსიკაშვილი, რომელსაც კა ხორგიდან გამოქცეულ ხუციევის დამალვა ჰბრალდებოდა და ტფ. მაზრის მცხოვრები მიხეილ მტრედაძე, რომელსაც იუზბაშევისა და აგრეთვე სასულიერო სასწავლებლის მოწაფის ცუცუნაშვილის გატაცება და სხვა ბოროტ-მოქმედებანი ჰბრალდებოდა; კონსტანტინე დავითულიანი, რომელიც სხვისი პასპორტით სცხოვრობდა.

✦ **პურიშკევიჩ-პეტერსონის საქმე.** რუსეთის გაზეთების სიტყვით, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს სახელმწიფო საბჭოს პირველ დეპარტამენტისთვის უთხოვნია, პურიშკევიჩ-პეტერსონის საქმე მოსპეთო.

✦ **დაპატიმრება.** 16, 17 და 18 მაისს, მეორე, მეხუთე და მეექვსე საპოლიციო უბნებისა და იარმუკის გაჩხრეკის დროს დააპატიმრეს 177 კაცი. დაპატიმრებულებს პასპორტები არ ჰქონდათ.

✦ **სეტყვა.** ამ დღეებში შორაპნის მაზრაში დიდი სეტყვა მოსულა. სეტყვა მთელი დღე არ აულია. სეტყვას მოსავალი გაუფუჭებია.

✦ სოფ პატარა თონეთში (ტფ. მაზრა) 17 მაისს ღამე რამდენიმე შეიარაღებული კაცი თავს დასცემია გლეხებს ალთუნაშვილებს. წაუღიათ სამი ვერცხლის ქამარი, სამაჯურები, ბეჭდები ვერცხლეულობა. თითონ ალთუნაშვილები სახლში არა ყოფილან, მარტო ქალები ყოფილან და ერთ თავდამსხმელს ქალისათვის უთქვამს, შენ ფული გაქვს, ჩქარა მოიტანე, თორემ მოგკლავთო. 50მანეთი ფულად წაურთმევიათ და უგზო-უკვლოდ მიმალულან. როგორც გავიგეთ, სოფელს მთავრობისთვის იარაღი გამოურთმევია მძარცველ ბრბოსთან საბრძოლველად.

✦ 17 მაისს, საღამოს 8 საათზე, ტრამვაის ქვეშ ჩავარდა ვიღაც უცნობი კაცი. უცნობი იქვე მოკვდა.

✦ 16 მაისს მეჯევე ქუჩაზე დააპატიმრეს პეტრე ბარაბაში, რომელიც საგენერალ-გუბერნატოროდან იყო გაძევებული და თავის ნებით დაბრუნებულა ტფილისში.

✦ 17 მაისს „დიანის“ სასტუმროში უცბად გარდაიცვალა ოზურგეთის მაზრის მცხოვრები მარიამ დოლიძისა. გარდაცვალებულის გვამი საავადმყოფოში წაიღეს.

✦ 11 მაისს ძუხრანის ქუჩაზე მცხოვრებმა სათენიკა ჩხეიძემ პოლიციას განუცხადა, ჩემი სიძის, ილიკო თვალჭრელიძის მოსამსახურემ მომტაცა 200 მანეთი და ოქროს და ვერცხლის ნივთები (60 მანეთის.) და მიიმალაო. თვალჭრელიძის მოსამსახურე დააპატიმრეს.

# ეგ. ნინოშვილის ხსოვნის პატივისცემა

კვირას, 17 მაისს, ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალების 15 წლის თავზე, პ. გელეიშვილმა ქართულ თეატრში წაიკითხა ლექცია განსვენებულ მწერლის ცხოვრებისა და სამწერლო მოღვაწეობაზე. ლექტორმა თვით ნინოშვილის დღიურიდან მოყვანილ ცნობებით დაუხატა დამსწრეთ ის, თუ რა ტანჯვა განიცადა განსვენებულმა. შემდეგ შეეხო მას, როგორც ბელეტრისტს და მესამე დასელების მოძღვრების მამათმთავარს. ლექციას ხალხი დიდ ძალი დაესწრო.

ამავე დღეს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი განსვენებულ ეგ. ნინოშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ წარმომადგენელნი წერა-კითხვის საზოგადოებისა და სხვა ქართულ დაწესებულებისა, ქართულ, სომხურ და რუსულ პრესსისა და მრავალი ხალხი. პანაშვიდის დაწყებისას მღვდელმა კ. ცინცაძემ შემდეგი მოკლე სიტყვა წარმოსთქვა:

ამ წმიდა ტაძარში ჩვენ შევკრებილვართ დღეს, საყვარელნო, იმ აზრით, რომ შევავედროთ უფალს სული ეგნატე ინგოროყვასი. მესვენებულთა მამათა და ძმათათვის ლოცვა-ვედრება სიყვარულისა და მადლობის ნიშანია საზოგადოდ, და ქართველი საზოგადოებაც ეგნატეს ნაყოფიერს სამწერლო მოღვაწეობისათვის მადლობელი, მსხვერპლს დღეს საზოგადო ლოცვას. ეს ცხადია ყველასათვის...

მაგრამ, ეგნატე ინგოროყვა შესანიშნავია არა მარტო სამწერლო მოღვაწეობით, არა, იგი ღირსია პატივისცემისა და ყურადღებისა, როგორც მტკიცე ხასიათის ადამიანი, რომელმაც დაგვიმტკიცა, რომ გამუდმებულის შრომითა და მეცადინეობით მცირე განათლების პატრონსაც შეუძლიან გაიკვლიოს გზა ცხოვრებისა და შეიტანოს სამშობლოს სალაროში შესამჩნევი განძი.

ეგნატე დაიბადა ღარიბს ოჯახში და ღარიბსავე სკოლაში მოახერხეს მისი მიბარება, მაგრამ, საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, ამ სკოლიდან იგი ადრე დაითხოვეს და ანბანის მლივს მცოდნე ეგნატე დარჩა უმწეო-უპატრონოდ. ბევრი, ძალიან ბევრი ამ გვარს შემთხვევაში ეცემა სულით და სამუდამოდ იღუპება ცხოვრების მორევში. ხოლო ეგნატე სულ სხვაფერ მოიქცა, მან არ მიაძინა სწავლის შემენის სურვილი, არამედ გააღრმავა შრომა და შეუდგა ოროიდე გროშის მოპოვებას იმ აზრით, რომ განეგრძო სწავლა საზღვარს-გარედ, რათა ფართო სწავლით აღჭურვილს შესძლებოდა რაიმე შემწეობა აღმოეჩინა „მცხე მწერალთა“ და მისთანათა მიერ დაჩაგრულ თანამემამულეთათვის. მართალია, სურვილი სავსებით ვერ უხორციელდება ეგნატეს, მაგრამ იგი გულს მაინც არ იტეხს: ის შეუდგება წიგნების კითხვას, რომ ამ ნაირად მაინც დაიკმაყოფილოს სწავლის სურვილი, ხოლო წიგნებისა და ცხოვრებისათვის საჭირო საშუალებას იგი პოულობს დღიურ მუშაობით. თუმცა ამ გამუდმებულმა შრომამ იმის სხეულს გამოცალია ძალღონე, მაგრამ სამაგიეროდ ეგნატემ შეიძინა გამოცდილება, ცხოვრების ცოდნა, თავისუფლება, დამოუკიდებლობა და სიმტკიცე ხასიათისა. ამ ნაირად მომზადებული ეგნატე გამოდის სამწერლო ასპარეზზე, თავის მართალის, ძლიერის სიტყვით და გაალმასებულის კალმით შეებრძოლება ძალმომრეობას და ბოროტებას, და მყისვე იპყრობს მკითხველის საზოგადოების ყურადღებას და თანაგრძნობას...

სუსტის ხასიათის ადამიანს ამ გვარს შემთხვევაში გაიტაცებდა განდიდების სურვილი, თავმომწონეობა, პატივის მოყვარეობა, ამპარტავნება, — ეგნატეს კი ამას ვერ ვამჩნევთ. ის არ იცვლება, ის იგივე ეგნატეა, რომელსაც თავიდანვე მიზნად დაუსახავს შრომა პატიოსანი, განუწყვეტელი, უანგარო და გულწრფელი, ხოლო პატივისცემისა და ყურადღებისათვის ზრუნვა გულიდან ამოუღია და თვით საზოგადოებისათვის მიუნდვია... და აჰა, ეს ამოდენა ხალხი დღეს შეკრებილა ეგნატეს პატივსაცემად და მადლობის მისაძღვნელად, და ჩვენც გავედრებთ მამა ზეციერს ამ წყნარს, თავმდაბალს და უანგარო ადამიანს, და ვთხოვთ მას, რომ ეგნატესებურ სწავლისა და შრომის სიყვარული მუდამ ცხოველ-ჰყოს ჩვენ შორის.

—

**ჭიათურა.** კვირას, 17 მაისს, ნაშუადღევის 11 საათზედ დიდ-ძალი ხალხი შეიკრიბა ჭიათურის თეატრში ეგნატე ნინოშვილის სახსოვარ პანაშვიდის მოსასმენად. პანაშვიდამდის მღვ. 'ვაშიძემ სიტყვა წარმოსთქვა.

# სპარსეთის ამბები

**სპარსელების პროტესტი უცხოეთის ჯარის წინააღმდეგ.**

სპარსელ კონსტიტუციონალისტების ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც თეირანში დაარსეს, მთელის სპარსეთის ხალხის სახელით პროტესტი გამოუცხადა გერმანიის ელჩს უცხოეთის ჯარების მოქმედების წინააღმდეგ და თან სთხოვა, გერმანიის იმპერატორს აცნობეთ სპარსეთის ეხლანდელი მდგომარეობაო.

ამ პროტესტმა ძლიერ დააფიქრა თეირანის დიპლომატთა წრეები.

საფრანგეთის პარლამენტში სპარსელების დეპუტაცია მივიდა პროტესტის გამოსაცხადებლად ადერბეიჯანში შესულ ჯარის წინააღმდეგ. მაგრამ მარტო სოციალისტების ჯგუფმა მიიღო ეს დეპუტაცია.

**უთანხმოება შაჰსა და ახალ მიმდევრებს შორის.**

შაჰს უთანხმოება მოუვიდა ახალ სამინისტროსთან, იქნება რამდენიმე მინისტრი სამსახურიდან გადადგეს.

**რეაქციონერების თხოვნა.**

ბოგადურ-ჯენგმა და სხვა წარჩინებულმა რეაქციონერებმა სთხოვეს შაჰს, გარანტია მოგვეცით, რომ კონსტიტუციონურ წესწყობილების დროს არა დაგვიშავდება-რაო.

**კავკასიელი რევოლიუციონერები.**

რუსეთ-სპარსეთის საზღვარზე დაატუსაღეს რამდენიმე კავკასიელი რევოლიუციონერი, რომლებიც კაზვინიდან რუსეთში ბრუნდებოდნენ. ამის გამო ბევრმა კავკასიელმა რევოლიუციონერმა ვეღარ გაბედა სპარსეთიდან წამოსვლა. ენჯუმენები ცდილობენ, რაიმე საქმე უშოვონ მათ სპარსეთში.

**ეინუდ-დოვლე.**

ეინუდ-დოვლე თავის ჯარით ამ დღეებში კაზვინში მივა.

**სპარსელ სოციალისტების პროტესტი.**

სპარსელმა სოციალისტებმა სთხოვეს საფრანგეთის სოციალისტურ ორგანიზაციას, პროტესტი განაცხადეთ რუსეთის მოქმედების წინააღმდეგო. ამის თაობაზე ჟორესმა წინადადება მისცა საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრს პიშონს, საფრანგეთის მთავრობამ ინგლისთან ერთად პროტესტი განაცხადოს რუსეთის მოქმედების წინააღმდეგ სპარსეთშიო. ჟორესი ხმას არ იღებს, იმაზე, რომ რუსეთი სპარსეთში ინგლისის თანხმობით მოქმედებს.

**სათარ-ხანის სახლის აფეთქება.**

ხათარ-ხანს უთქვამს „რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტისთვის: „ჩემმა მდივანმა წამიკითხა რუსულ გაზეთებში დაბეჭდილი დეპეშა, ვითომ ჩემი სახლი კავკასიელ რევოლიუციონერებს აეფეთქებინოთ ყუმბარებით. გთხოვთ, გადაჰკრით უარჰყოთ ეს ცნობა, რომელიც წარმოადგენს უღირს ცილის წამებას. ნამდვილად აფეთქება მოხდა თოფის წამლის საწყობში მუშების გაუფრთხილებლობისგან.

**კაზვინში.**

კონსტიტუციის გამოცხადების შემდეგ კაზვინში ყველგან ჩამოიღეს წითელი ბაირაღები, ქუჩებში აღარსად ჩანან შეიარაღებული რევოლიუციონერები, რომლებმაც იარაღი ჩააბარეს თოფხანაში. თუმცა აქაურ რევოლიუციონერების უმეტესობა მოურიგდა შაჰსა, მაგრამ ბევრს დღესაც ჭკუაში არ მოსდის ეს შეთანხმება, ბევრნი დღესაც პროტესტს აცხადებენ ამ შერიგების წინააღმდეგ.

ერთ გამოჩენილ კაზვინელ რევოლიუციონერს უთქვამს „რ. სლოვო“-ს კორესპონდენტისთვის:

ჩვენ იარაღს ვყრით მხოლოდ შაჰის პირველ საეჭვო მოქმედებამდე. სანამ შაჰი თავის ცალიერ დაპირებას საქმედ არ აქცევს, ჩვენ კონკონსტიტუციონურ ქვეყნად ვერ ჩავთვლით სპარსეთს. თუმცა კონსტიტუცია აღდგენილია, შაჰმა მაინც თავისი ჯარი გაჰგზავნა კერეჯის პოზიციებზე. თუმცა ამნისტია გამოაცხადეს, შაჰის ჯარისკაცები მაინც იჭერენ მგზავრებს და იარაღს ართმევენ ხალხსა. თეირანში სამხედრო წესები გამოაცხადეს. მთავრობა უფრო და უფრო სასტიკ ღონისძიებას ხმარობს. ჩვენ ვთხოულობთ, რომ თავისუფლება ნამდვილად განხორციელდეს. დიდ საპასუხისგებო თანამდებობაზე უნდა დააყენონ ისეთი კაცები, რომლებსაც ჩვენ ვენდობით. ჩვენ მხოლოდ იმ აზრით დავსთანხმდით რუსეთის და ინგლისის წინადადებას და იარაღი დავყარეთ, რომ ქვეყნიერობას დაუმტკიცოთ ჩვენი ზომიერება და წესიერება.

# ოსმალეთი

**ავსტრია-ბოლგარიის შეთანხმება.**

უცხოეთის გაზეთები იუწყებიან, ავსტრიამ და ბოლგარიამ პირობა დასდეს ერთმანეთთან, რომ, თუ ოსმალეთის საქმეები გართულდება, ორივემ თანხმობით იმოქმედონ.

**ქიამილ-ფაშის ბარათი იპოვეს.**

ილდიზ-კიოსკში იპოვეს ქიამილ-ფაშას ხელ-მოწერილი ბარათი, რომლიდანაც ჩანს, რომ მას 1000 გირვანქა მიუღია სულთან აბდულ-ჰამიდისგან. დიდ-ვეზირად ნამყოფმა გამოუცხადა გამომძიებელ კომისიას, რომ ეგ ფული მივიღე გაზეთებისთვის დასარიგებლად იმ განაწილების თანახმად, რომელიც თითონ სულთანს შეედგინაო. კომისია ქიამილ-ფაშის დატუსაღებას აპირებს.

**რეაქციონერების მოქმედება.**

ოსმალეთი რეაქციონერები პარიზსა და კაიროში აარსებენ გაზეთებს კონსტიტუციისა და ახალგაზრდა ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველად.

**ბერძნები და სამხედრო ბეგარა.**

ამას წინად როგორც ვიცით, ლაპარაკი ჩამოაგდეს იმაზე, რომ ოსმალეთის ჯარში ქრისტიანებიც მიიღონ.

ყველა ქრისტიან ერებს ძლიერ გაუხარდათ ეს ამბავი, მხოლოდ ბერძნის პატრიარქმა სხვა თვალით შეხედა ამ საქმეს.

ბერძნის პატრიარქმა გამოაცხადა, რომ ეს საქმე უნდა გადასწყვიტოს ბერძენთა სასულიერო და საერო წოდების წარმომადგენელთა კრებამ, რომელიც განაგებს ოსმალეთის ბერძენთა საქმეებსო.

ხმა დადის, ბერძნები ცდილობენ, რომ ბერძენ ჯარის-კაცთაგან ცალკე პოლკები შეადგინონ. საეჭვოა. რომ ოსმალეთის მთავრობამ დააკმაყოფილოს ბერძნების მოთხოვნა.

# სხვა მხრიდან

I

**ბიბლიოგრაფია**

**გიოტე: „ფაუსტი“**, დრამატიული პოემა ორ ნაწილად, თარგმანი პეტრე მირიანაშვილისა, გამოცემა „შრომის“ სტამბისა.

ყოველ ერისათვის ისეთ თხზულების გადათარგმნა, როგორიც არის გიოტეს „ფაუსტი“, დიდ ბედნიერებას წარმოადგენს. მით უმეტეს ჩვენთვის ეს თარგმანი, სხვათა შორის, დამამტკიცებელია, რომ, მიუხედავად ათასის დაბრკოლებისა, ერი მაინც რჩება

იგივ მხნე იგივ, მღერალი
მოყვარე თავის მიწისა.

ვუძლებთ ყოველ ტანჯვას, ყოველ დაბრკოლებას, და ხალხის სული ესწრაფვის ესთეტიურ უმაღლესს დატკბობას, აზროვნების უდიადესს ნაყოფთა შეთვისებას. გიოტეს „ფაუსტი“ საუცხოვო, არა ჩვეულებრივი, ნამოქმედარია: შიგ ჰარმონიულად შეერთებულა ცხოვრების დაკვირვება, მეცნიერულ გამოკვლევის შედეგები და სიტყვაკაზმული ხელოვნება. მოქმედება სწარმოებს მდიდარ პალატთაგან დაწყებული ღარიბ ქოხებამდის, უმანკო ქალის სარეცელიდან როკაპის სადღესასწაულო ღვიმემდის, ციდან დაწყებული, საიდანაც მოისმის გალობა მთავარანგელოზთა, უკუნეთის სამფლობელომდის, სადაც **სიცარიელეში** დიდები განისვენებენ. იმპერატორი, მეცნიერი, მათხოვარა, ეშმაკი და ანგელოზი, მოხუცი და ბალღი — ყველა გამოდის ამ პოემაში თავისის ხასიათით, მიხვრა-მოხვრით, თავისებურის სიტყვა-პასუხით. პიროვნების, მდგომარეობის და ხასიათის მიხედვით იცვლება თვით ლექსთწყობა. აზრი ჰპოულობს სწორედ ისეთს გამომხატველს სიტყვას, რომელიც არა თუ გაგაგებინებს, აგრძნობინებს კიდეც ნათქვამს.

ასეთის პოემის უნაკლულოდ გადმოთარგმნისთვის ჩვენში ჯერ-ჯერობით არავინ მოიპოვება. არც რუსულ ენაზე გვინახავს ჩვენ ისეთი თარგმანი, რომელშიაც ან აზრი არ იყოს დამახინჯებული, ან ზომა არ იყოს შეცვლილი, ან და რაც ისეთივე ნაკლულევანებაა, როგორიც სხვა, მოკლედ მოჭრილი სიტყვა გიოტესი გაჭიანურებულად არ იყოს ნათქვამი.

ქართულად მთარგმნელს წინადვე უარი უთქვამს გიოტეს გაჰყოლოდა ლექსთა-წყობაში. როგორც თექვსმეტ-მარცვლოვან ჰეკზამეტრს, ისე სხარტულ ოთხ და ხუთ მარცვლოვან ლექსებს ბ-ნი მირიანაშვილი სთარგმნის ერთისა და იმავე ზომით — ხუთ მარცლოვან ურითმო და ურითმო ლექსით. რა თქმა უნდა, ამით ბევრი აკლდება ორიგინალის ძალას, ვეღარ ახდენს შეუდარებელს შთაბეჭდილებას თვით გიოტეს ნაწარმოებისას.

მირიანაშვილს უთარგმნია რუსულიდან და ამით აიხსნება, რომ ნიუანსები ორიგინალისა დაკარგულია. სამაგიეროდ აზრი არსად არ არის შერყვნილი. როცა შეეჩვევით არა ჩვეულებრივ ზომას თარგმნისას, სიამოვნებით, აღტაცებითაც კი, წაიკითხავთ მშობლიურ ენაზე [illegible] ხუთაისოდე გვერდზე მოქცეულ მთელ ცხოვრების [illegible] რებთ ჭეშმარიტების [illegible] ცულ ფა[illegible] წაქცეულს, სიყვარულით და უმანკოებით სავსე გრეტხენს, მეფისტოფელს, რომელიც თავის ბოროტებით ბოლოს და ბოლოს მაინც კეთილსა ჰქმნის, უნებო მეფეს, პრანჭია ქალებს, მთელს კალეიდოსკოპს ცხოვრებისას. აქ გაეცნობით დედების სახელით გამოყვანილს პლატონის იდეებს, გაიგებთ მშვენიერ ელენეს ცხოვრებას და მიმზიდველობას, შხამს სიძულვილისას და სიყვარულის ნეტარებას.

ლექსიკონის სიმდიდრე ბევრს რასმე შეგვძენს განსაკუთრებით ჩვენ, პატარა და დიდებულს მწერლებს, ინტელლიგენციას, „მოპარუსკე“ ბრბოს... ნიმუშად მოვიყვან რამდენსამე ადგილს. პირველად პოეტს მის დანიშნულებაზე შევეკითხოთ. აი რას ამბობს გიოტეს პოეტი.

დიად უფლებას
ბუნება მაძლევს.
ნუ თუ ღმერთების
ზესთაებრ ნიჭი
საქირდველია?
პოეტის ძალა,
წმინდათა წმინდა,
ნუ თუ სასყიდელ
საშოვნელია?
მითხარით, პოეტი
აღტაცებული
გულს რით აღუძრავს
ადამიანსა?
რა უმორჩილებს
სტიქიონებსა?
ნუ თუ არ ჰანგი
ყოვლად ძლიერი,
რასაც გამოსცემს
იმისი გული
შემოქმედი, მეფე
ქვეყნიერობის?
ფერმკრთალნი პარკნი
ახვევენ ძაფსა
მიარჩილ თითისტარს
და ყოველივე
არსი სულდგმული
ზარით ისწრაფის—
და ქაოს ქმნილა
ესე სოფელი
დაულეველი.
ვინ განუმარტებს
ცხოვრების მიზანს
გაურკვეველსა,
ვინ გამოხატავს
რიგზე, წყობისად
ცხოვრების სრბოლას
ლაუწყობელსა,
არეულ ქაოსს
ვინ მოუწოდებს
ერთობისათვის
და ვინ შეუწყობს
ხმასა, საზეო
გალობისათვის?
აშლილ გულისთქმას
ვინ გიმხურვალებს
ვარვარა ცეცხლით;
ვინ აფრქვევს ყვავილს
გასხიოსნებულს
მიჯნურობის გზას,
ვინ უღალადებს
ტკბილ ხმა-შეწყობილ
ქებათა-ქებას
მწუხრის ციაგთა
მშვიდ ბრწყინვალებას?
ვინა ჰსდებს ფასსა
ურგებ ფოთლებსა,
მათ, რო ჩააწნის
ქების გვირგვინსა?
ვინ მწყსის ოლიმპოს
და უდრის ღმერთებს?
კაცობრიობის
ძალა, რომელიც
პოეტში ცხოვრებს!

როცა დაღალულს, მწუხარე პოეტს დაუჟინებენ:

თქვენი ვალია,
სწორედ ეგ ძალა
გამოიყენოთ!
მაშ არ დაკარგოთ
აღმაფრენის დრო,
როგორც აშიყი
ცდილობს კურკურის
დრო არ დაჰკარგოს!

პოეტი შემდეგის მშვენიერ, მელანქოლიურ ლექსით უპასუხებს:

დრო მომანიჭე
ნეტარებისა
იმ ჟამთ, როცა წინ
თვითონ მივქროდი,
როცა სიყმისა
საგალობელსა
თავისუფალის
გულით ვგალობდი!
ჩემ წინ სოფელსა
ნისლი ჰბურავდა
ყვავილთ კუკური
საკვირველებას
ჩამჩურჩულებდა
გულითა ვსვამდი
სიტკბოებასა
ყველგან ვეძებდი
ჭეშმარიტებას
და ოცნებითა
ძილსა მოვგვრიდი
ჭკუა-გონებას.
მომეც, რისკენაც
მივისწრაფოდი,
კაეშანთ სიტკბო,
ტრფობისა ძალი,
მძულვარებისა
გულმოდგინებაც,
ჩემი სიყმისა
ჰასაკოვნებაც!

ეს პასუხი თვითონ გიოტე'ს პასუხია, როცა მას მეგობარ-თაყვანის მცემლები ეხვეწებოდნენ დაემთავრებინა „ფაუსტი“: „ფაუსტს“ მთელი 62 წელი სწერდა გიოტე და მხოლოდ ბევრის ხვეწნისა და ვედრების შემდეგ დაამთავრა სიკვდილის წინა თვეებში.

შესანიშნავი დახასიათება „ფაუსტისა“ მეფისტოფელის მიერ მკრთალად აქვს გადმოცემული მირიანაშვილს, მაგრამ დედა-აზრი მაინც სრულად არის დარჩენილი. საკმაოა შევადაროთ გერმანული დედანი თარგმანთან, რომ ნათლად დაინახოთ ეს.

მსოფლიო მწერლობის ერთ უნაზეს და უმშვენიერეს ლექსს შეადგენს შეყვარებულ გრეტხენის სიმღერა სართავის წინ:

არ მაქვს სიმშვიდე,
გული მიკვდება:
მისი(?) კვლავ მოსვლა
არ მოხერხდება.
ყველგან, სადაც კი
იგი არაა
მხოლოდ მკვდრეთია,
ბედნიერება
არ იპოება,
წუთი სოფელი
სულ შავთია.
ღარიბ-ღატაკი
გული მიკვნესის
დამშავებია.
არ მაქვს სიმშვიდე,
გული მიკვდება;
მისი(?) კვლავ მოსვლა
არ მოხერხდება?
აქ საკრმელიდან
სულ მას გავყურებ,
მხოლოდ მას ველი
ხანსა ვახანებ.
მისი ღიმილი
ფეხის გადადგმა,
თვალ ტანადობა,
ვითა თილისმა
მიწვევს, მეწყობა.
მისი სიტყვისა
ჯადო რამ ბგერა,
თვალთაგან ცეცხლი,
ხელთ გამეშვერა!
არ მაქვს სიმშვიდე,

გული მიკვდება,
მისი კვლავ მოსვლა,
არ მოხერხდება!
მასთან, მის იმართ
ისწრაფის გული
შეეთხზოს, იმქნეს
მოსვენებული.
მას ეხვეოდეს
იბნიდებოდეს,
იმას ჰკოცნიდეს
ზედ აკვდებოდეს!

ბევრის ამონაწერით, იქნებ, მკითხველს თავი მოვაბეზრე, მაგრამ ერთი უკანასკნელიც. დოქტორმა ფაუსტმა ქვეყნად გამოსცადა ყოველივე ქვეყნიური: ჭეშმარიტების უნაყოფო ძებნა, მშვენიერების მუდმივი დაახლოვება და შეუძლებლობა სიმშვენიერის ხელთაპყრობისა, ვნებათა ღელვის დაკმაყოფილება, ოცნება და სინამდვილე, და დაბრმავებული, მოხუცებული დაასკვნის, რომ ცხოვრებას მხოლოდ მუდმივი და შეუწყვეტელი შრომა, შრომა თანამოძმეთათვის აცისკროვნებს. აი როგორ გამოთქვამს სიკვდილის წინ ამ აზრს:

დამყაყებულის
წყლის შეყენება
ვსძლიო—ჰა ჩემი
უმაღლესი და
უკანასკნელი
საქმე! გავაჩენ
მრთელ ქვეყანასა,
ვრცელს და ახალსა,
ხალხთ იცხოვრონ აქ
მილიონობით
მრთელი ცხოვრების
განმავლობაში
მძაფრის ხიფათის
მოლოდინითა,
მხოლოდ თავიანთ
თავისუფალის
შრომის იმედით.
მთაგორებს შორის
და ნაყოფიერ
მინდორ-ველზედა
ხალხნიც, ჯოგნიცა
იქმნენ ხალვათად;
კორდი სამოთხედ
გადმეფურჩქნება,—
იქ შორიდან კი
ზღვის საქანელი
რისხვით შხივოდეს,
შჭამდეს საგუბარს,
გაუმრთელებენ
წუთსვე ზიანსა.
**დიახ, დიდი ხნის**
**ცხოვრების წელია**
**მაცნობეს სჯული,**
**რომელიც მარად**
**ცხოველ იქმნება:**
**თავისუფლების,**
**ცხოვრების ღირსი**
**მხოლოდ იგია**
**დღე ღამე ბრძოლით**
**ვინც ეუფლება!**
მკაცრის მუდმივის
ბრძოლითა გავლენ
ყმაწვილმა, მამამ
და ბერიკაცმა
მთელი ცხოვრება,—
მეცა ვიხილავ
სასწაულ ძალის
სხივოსნობ ითა
ჩემს ქვეყანასა
თავისუფალსა;
მას ჩემს ხალხსაცა
თავისუფალსა.
ე, მაშინ ვიტყვი:
წუთო! შენა ხარ
ტურფა-მშვენიერ!
მოიცა, იქმენ
მრავალ-ჟამიერ!
უეჭველია,
ვერცა წარხოცენ
საუკუნენი
ჩემს ნაკვალევსა
იმ უცხო წამის
წინასწარ მგრძნობი
ამ ჟამად ვიხმევ
ჩემს მაღალ წუთსა.

ალვნუსხეთ თარგმნის ნაკლულოვანებანი. ამოწერილ მაგალითებიდან კი შეამჩნევდა მკითხველი, რომ მიუხედავად თარგმანის სიმკრთალისა, წიგნის მნიშვნელობა მაინც ბევრად აღემატება მრავალ ჩვენისა და უცხო პოეტის ნაძალადევ ნამოქმედარს. ასე ტარიელ სიყვარულის ბნედით ეცემა, სტირის, დაუძლურებულა, მაგრამ ლომის მოკვლა არად უჩანს, მათრახის ერთი გადარტყმით შუა აპობს საშუალო ადამიანის თავს.

„ფაუსტზე“ ცალკე მოვილაპარაკებ, აქ მხოლოდ ბიბლიოგრაფიული შენიშნვით ვკმაყოფილდები.

**ნ. ლორთ...**

## საზოგადოება „განათლება“

ამ ცოტა ხანში შესრულდება ერთი წელიწადი, რაც ჩვენში დაარსდა საზოგადოება „განათლება“. სახელიც კი გვაჩვენებს, რომ ამ საზოგადოების დანიშნულება არის სწავლა-განათლების გავრცელება სკოლების დაარსებით, მეტადრე ქალთათვის. ეს პატარა საზოგადოება სულზე მიუსწრო ძალა-უნებურად დაკეტილ უაზნეგის ქალთა სკოლას. ამ საზოგადოებამ დაარსებისათანავე აიღო ნება-რთვა ორის სკოლისა ერთი-დასაწყისისა და მეორე პროგიმნაზიისა, და სექტემბრიდანვე გახსნა სამი დასაწყისი განყოფილება და ერთი პროგიმნაზიული კლასი. „განათლების“ საზოგადოების სკოლები იმითი განირჩევიან სხვა ჩვეულებრივ სკოლებისაგან, რომ ქართულ ნიადაგზე არიან დაყენებულნი და სწავლის ფასი ჩვენ დარიბ ქართველთათვის ძალიან ხელ მისაწვდენია.

მუდმივი სახსარი სკოლას ჯერ-ჯერობით სულ არაფერი არა აქვს და დამოკიდებულია ქართველ საზოგადოების შემოწირულებასა და გამგეობის წევრების მხნეობაზე. გამგეობის წევრნი ხშირად ამბობენ—ქალამნებს ჩავიცვავთ, რკინის ქოხს ავიდებთ და საქმეს კი გავიტანთო.

მაგრამ ამ მდგომარეობაში, რასაკვირველია, არ შეიძლება სკოლამ დიდ ხანს იარსებოს და გაუმჯობესდეს. ამიტომ გამგეობა დაეძებს მუდმივ წყაროს. ჯერ-ჯერობით წინდა-ჩულქების წარმოება შემოიღეს და იმედი აქვთ, რომ ამ ერთი-ორი წლის შემდეგ ამოთი სკოლას შემოსავალი ექნება. გარდა ამისა, ფიქრობენ სკოლას საკუთარი ბინა გაუჩინონ. სახლის პატრონები თავს არ იწუხებენ უმაწვილების ხმაურობით და სკოლას არავინ უშვებს სახლში, ყველა უტატანებს, და ამითი ირღვევა მუყდრო მუშაობა სასწავლებელში. გამგეობამ ბევრი მწარე დღეები ნახა აგვისტოში ბინის ძებნის დროს. ახლა თავად-აზნაურთა ბანკიდან გადაიტანა საზოგადოებამ თავის სახელზე ეგრეთ წოდებული ჟდანევიჩის სახლი, სადაც მოთავსებულია ამ ჟამად სასწავლებელი. თუ ჩვენი სათავად-აზნაურო ბანკი შეაძლებინებს ამ სახლის შერჩენას და „ნედოიმკებს“ ახსნის, დიდ ღვაწლს გაუწევს სწავლა-განათლების საქმეს ქართველ დარიბთა შორის.

მომავალ სამოსწავლო წელს, როგორც გავიგეთ, აპირებენ მეორე პროგიმნაზიულ კლასის გახსნას. იმედია, საზოგადოება მიეშველება ამ ფრიად საჭირო და სასარგებლო საქმეს და არ დაიშურებს წვლილის გაღებას.

24 მაისს მუშტაიდის ბაღში ამავე საზოგადოების სასარგებლოდ იმართება დიდი სეირნობა ლატარია-ალეგრით.

**ვინმე ქალი.**

## ქართულ გიმნაზიაში

ორშაბათს, 18 მაისს, ქართულ გიმნაზიაში გაიმართა სალიტერატურო-სამუსიკო დილა. უნდა გავიმეოროთ ის, რაც ამ 6 თვის წინად ვთქვით: რამდენიმე საათი დიდის სიამოვნებით და კმაყოფილებით გავატარეთ ქართულ გიმნაზიაში. მოწაფენი თამამად კითხულობდნენ ლექსებს რუსულადაც და ქართულადაც, სულ პაწაწინებიც კი: უმცროს განყოფილების ბავშვმა კინწურაშვილმა, მაგალითად, ალტაცებაში მოიყვანა ყველანი, რადგან დიდის გრძნობით წაიკითხა „სამშობლო ხევსურისა“.

გალობაც და მუსიკალური განყოფილებაც მეტად კარგი და მწყობრი იყო. ალვნიშნოთ მაგალითისთვის ცნობილი ინტერმედია ჩაიკოვსკის „პიკოვ. დამიდან“: გეგონებოდათ, თქვენ წინაშე კარგად გაწვრთნილი საოპერო ხორო და ორკესტრიაო. წელს ვაჟების გუნდს ქალებიც მიემატნენ—ქალთა სკოლიდან, რომელთაც მშვენივრად შეასრულეს „ნანა“.

უნდა ალვნიშნოთ კიდევ ახალი: გამართული იყო სურათების და ქანდაკებათა გამოფენა—დაბალ კლასების მოწაფეთა ნამუშევარი. ამ გამოფენამაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე... ასე რომ კვლავ ვიმეორებთ: სამხატვრო, სამუსიკო და საზოგადოდ სახელოვნო ნაწილი ჩვენს გიმნაზიაში კარგად არის დაყენებული და დიდ წარმატებაშია.

## მოწერილი ამბები

**ქ. თელავი.** თუ როგორ უპატრონოა ჩვენი ქალაქი ეს თელავის თვითმმართველობის შედგენილობიდამაც ნათლადა სჩანს. ქალაქის რწმუნებულნი აირჩიეს 1907 წელს, ოთხი წლის ვადით, მაგრამ არ გასულა 4 თვე, რომ ზოგიერთმა ქალაქის მამამ თავი დაანება—ძრიელ ემძიმათ ოვეში ერთხელ სხდომაზე დასწრება და საქმეების განხილვაში მეზობელ-ნაცნობების წყენა. მალე ამათ უმრავლესობა მიჰყვა. დარჩა მხოლოდ 6 კაცი. რასაკვირველია, ეს საკმაო არ იქნებოდა, რომ ქალაქი რწმუნებულთა ჩვეულებრივი სხდომები შემდგარიყო, ვღარც სდგებოდა და, ამ რიგად, სამოქალაქო დებულების უწყებულ წესდების ძალით, ყველა საქმეებს მარტოდ-მარტო მოურავი სწყვეტს და შემდეგ უდგენს დასამტკიცებლად, სადაც ჯერ არს.

ეს არაფერი, თელავს რომ თავი ჰყავდეს, მაგრამ საქმე სწორედ იმაშია, რომ ქალაქს თავი არა ჰყავს, თელავი უთავოა, რის გამოც ეს მესამე წელიწადი ქალაქი დიდ გასაჭირს განიცდის.

ქალაქის მოურავმა მ. თათუზოვმა ჯერ ისევ 1906 წელს, ვიდრე არჩევნები მოხდებოდა, თანამდებობას თავი დაანება და მისი მოვალეობა გადაეცა დროებით, ვიდრე თავს აირჩევდნენ, იმის თანაშემწეს ყულიჯანოვს. რწმუნებულთა არჩევნები მოხდა, მოურავი უნდა აერჩიათ, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა: პირველად კანდიდატი არა ჰყავდათ და შემდეგ, თუმცა კანდიდატი იშოვეს კიდეც, მაგრამ ზემო დასახელებულ მიზეზისა გამო—საკმაო რიცხვი ხმოსნებისა აღარ იყო, რომ არჩევნები შემდგარიყო ყულიჯანოვმა თავის თანაშემწედ აიყვანა გ. თათუზოვი, რომელიც ასრულებს დროებით ქალაქის თავის თანაშემწის მოვალეობას.

ესეც არაფერი, რომ ყულიჯანოვი ავად არ გამხდარიყო. თითქმის მეხუთე თვეა ავადმყოფობს და ამ რიგად მოურავის თანამდებობას ამ ჟამად ასრულებს მოურავის თანაშემწის თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი.

ასეთ ყოფაშია ქალაქის საქმეები: ხმოსანი 15 კაცის მაგიერ ამ ჟამად 7 კაცია. ერთი აქედან მოურავის თანამდებობას ასრულებს, მეორე იმის თანაშემწისას, დარჩა 5 კაცი. რასაკვირველია ესენი მონაწილეობას ვერ იღებდნენ ქალაქის საქმეებში, მაგრამ გუბერნატორის თელავში ყოფნის შემდეგ (რომელმაც გაიცნო საქმის მდგომარეობა), ამათი აზრი ამა თუ იმ საქმის შესახებ ეგზავნება გუბერნატორს მოურავის გადაწყვეტილებასთან ერთად.

ეს მესამე წელიწადია, რაც ქალაქი ასეთ მდგომარეობაშია და მხოლოდ რწმუნებულთა დამატებით არჩევნებს, რომელიც დანიშნულია, 27 ივნისისთვის, შეუძლიან ქალაქი ნორმალურ კალაპოტში ჩააყენოს, ისიც მხოლოდ მაშინ თუ შესაფერმა ხმოსნებს აირჩიეს და არა ისეთები, როგორნიც წინად იყვნენ.

**დავიწყებული.**

**სოფ. რუისი** (ქართლი). მდიდარი ხომ თავის დღეში არა ყოფილა ჩვენი ხალხი, მაგრამ როგორ უბედურ მდგომარეობაშიაც ეხლაა, მე მგონია ბევრჯელ არა ყოფილა. მთელი ოთხი წლის მოუსავლობამ და მამასისხლად პირნახულის ფასის აწევამ უკიდურეს გაჭირვებამდის მიიყვანა ხალხი: განა გლეხ-კაცს მამული მოსჭარბდება, მაგრამ მაინც ჰყიდის, რომ ცოლშვილი შიმშილს გადაარჩინოვო. ერთი ან ორი დღის მიწას, რომელიც, ვინ იცის, რა შავი დღით შეიძინა და რაებს არ ოცნებობდა მასზე, ეხლა ნახევარს ფარად ჰყიდის. ისეთი მაგალითიც იყო, რომ პურით მზად დათესილი მიწა დაუგირავა სხვას და იმაში მხოლოდ სიმინდი გამოართო გაზაფხულზე, ახლამდის მაინც მივაღწიოო. წელს ჩვენკენ 5-6 მანეთად იყიდება პური. ამას ღვთის წყალობად სთვლიან, იმის შემდეგ, რაც შარშან განიცადეს: რვა მანეთამდე ავიდა კოდი. ახლა ეს მიბრძანეთ, სად უნდა იშოვნოს გლეხმა ეს ფულები, რა წყარო აქვს? აქაურს გლეხს და საზოგადოდ ბევრს გარემო სოფლებისასაც, ღვინო არა აქვთ გასასყიდი, თივა და ბზე. საქონლის საკვებმა საარაკოდ აიწია ბოლო წლებში: თითო კონა დამპალი ფურჩი 7-8 კაპ. იყო, გოდორი ბზე 30-40 კაპ. ქირაობა ხომ დიდი ხანია აღარ არის აქეთკენ. ცხვრის, ძროხის და ღორის ფარების ხსენება სულ არ არის, თუ აღარ დაგიშლიათ, თითო ოროლა მანეთის ხილს ჰყიდიან ზაფხულობით. ამ დარგმა თითქო წაახალისა ხალხი, ძალიანაც მიჰყო ხელი ხეხილის გაშენებას, რომელიც ამ ბოლო დროს მომგებიან საქმედ გახდა ბ. ზ. ფრიდონოვის, ავსარქისოვის და კეცხოველის წყალობით, მაგრამ ეს დარგიც მხოლოდ მომავლის საქმეა. ამ ჟამად კი ხალხი სწუხს და ძრწუნავს, მამასისხლად ვერ გაუმართნიათ ერთმანეთში სესხით ხელი. მხოლოდ რამდენიმე ადგილობრივი ბობოლაა, რომელნიც ასესხებენ დიდის სიფრთხილით და სასტიკის პირობებით.

ნუ დაივიწყებთ, რომ ხარჯმა ყველა ამ უბედურებასთან ბევრით იმატა: ჯერ იყო და ორჯერ დაჯარიმდა სოფელი ას ასი თუმნით. ახლაა კიდევა და სახელმწიფო მამასახლისი, სტრაჟნიკები და ათასი სხვა რამ.

ერთს დროს ჩვენში სასოფლო ბანკები და სავაჭრო სახლები სენად იყო გადაქცეული—ყველა ამაზე ოცნებობდა, ყველგან იმის დაარსებას ლამობდნენ. მაგრამ წესია, რაც უცბად მოდის, ისევე უცბად ჰქრება ამ წუთი-სოფელში. ჯერ რიგიანად არ გაედგათ ფეხი ამ დღე-ნაკლებ ბანკებს, ხომ იქვე გაუთხარეს ძირი და დანთქეს თითქმის თითონვე დამაარსებლებმა, რა უნდოდათ იმ დალოცვილიშვილებს ჰქონდათ და გაჭირვების დროს მაინც გაემართნათ ხელი ეხლა მეტად ძნელია, რომ კვლავ დაარსდეს ასეთი რამ ნამეტნავად იმ სოფლებში, სადაც ერთხელ არსებობდა. ბევრი ეხლაც მწარედ იგონებს: მამაჩემს თავისი სამკვდრო ხუთი თუმანი დაეკარგა ბანკშიო, ჩემს ძმას წილის ფულიო, ზოგს შესანახად შემოტანილი და სხვა და სხვა. თუმცა ძნელია მათი აღდგენა, მაგრამ—ცდა ბედის მონახევრეაო. უნდა, როგორც იქნება და რა გზითაც, ხალხში აუცილებლად გავრცელდეს მცირე კრედიტის მოწყობის შეგნება. ეს აუცილებელია აქ სადაც მისდევენ მეურნეობას და მამულის დამუშავებას. ღარიბ კაცს ხშირად არა აქვს ერთი თუმანი, რომ ჩავიდეს სკრაში და ერთბაშად იყიდოს რამდენიმე ათეული ნამყენები ასე ამრიგად გაიჩინოს საბოლოო ლუკმა. თითო ოროლობით კი როდის და რა იქნება! რადგან ეხლა სხვანაირი დრო, სხვას არავის შეუძლიან ამ საკრედიტო დაწესებულებების საქმეში თაოსნობა, თუ არა ადგილობრივ მომრიგებელ შუამავალთ. ბევრი ამათში რიგიანი და შესმენილი კაცია და შეეტკივა კიდეც გული ხალხისთვის და დიდ საქმეს უზამენ სოფლებს, თუ ითავებენ და მოაგვარებენ წვრილ კრედიტს, მით უმეტეს ეხლა ყოველ მაზრაში, ორისა და სამი შუამავლის მაგიერ შვიდი და რვა მუშაობს. ეს მათი ზნეობითი მოვალეობაა.

აქეთ საშინელი გვალვაა. თვეა ცას ნამი არ გავარდნია. ესეც ახალი ღვთის წყალობაა.

**ი. გ.**

## რუსის ციხეების გაუქმება პოლონეთში

როგორც ვიცით, ხმა დადის, რომ რუსეთის მთავრობამ გადასწყვიტა, პოლონეთში რაც ციხეებია სულ გააუქმოს. ამ ხმამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია თურმე საზღვარ-გარედ, მეტადრე ვენასა და ბერლინში. ერთს გამოჩენილ ავსტრიელს გენერალს უთქვამს „რ. სლოვო“-ს კორესპონდენტისთვის: ესეთი გადაწყვეტილება რუსეთის მთავრობამ მიიღო იმის შემდეგ, როცა წარსულ მარტში გაიგო ნამდვილი ძალა ავსტრია-გერმანიის კავშირისა. ხსენებულ ციხეებს ომის დროს არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდათ, რადგან ავსტრია და გერმანია მათ გვერდიდ ნ მოუვლიდნენ და სულ მოსწყვეტდნენ რუსეთს. ბოსნია-ჰერცოგოვინას თაობაზე რომ ურთიერთობა გამწვავდა, ავსტრიამ და გერმანიამ შეადგინეს შემდეგი საომარი პლანი: ავსტრიის ჯარი პოლონეთს გვერდს აუქცევდა და პირდაპირ ვოლინისა და პოდოლის გუბერნიებში შეიჭრებოდა; გერმანიის ჯარიც გვერდიდან მოუვლიდა პოლონეთის ციხეებს და სუვალკისა და კოვნოს გუბერნიებში შევიდოდა. ასეთის პლანის წყალობით, პოლონეთი მოსწყდებოდა რუსეთს და იქაური ციხეები შესაფერად ვერ დაეხმარებოდნენ რუსის ჯარს.

## ეგნატე ნინოშვილის

**ძეგლის ასაგებათ.**

„ჯეჯილის“ რედაქციამ მიიღო მიხეილ ჩოდრიშვილის მიერ შეგროვილი 21 მ. 15 კ.

შემომწირველთა სია: თითო მანეთი—გ. ქიტიაშვილმა, კოლა ნინუამ, კ. თებზამემ; ათ ათი შაური: გ. ჩოდრიშვილმა, ან. ხომტარიამ, ივ, ნაცვლიშვილმა, გ. ხეთაგურიმ, იაგ. ანდრიანმა, პაგ. მიკირტუმოვმა, ივ. კარგარეთელმა, პავლე ორლიძემ, მამო ორლიძემ და მიშო გელაძემ; ორი აბაზი—ფ. ნ. როსტომაშვილმა, გ ჭიჭინაძემ, შენგელიამ, ბ. ახობაძემ; 35 კ.—ალ. აკოფაშვილმა; 30 კ. ვ. ხვედელიანმა, კოლა ლომჯარიამ, ბ. ახობაძემ, კ. კობალაიშვილმა და დ. ლიონიძემ; თითო აბაზი, სამი შაური და ორი შაური შემდეგმა პირებმა: Маруся Чихунин-მ, ს. ცომაშვილმა, პ. უნაძემ, გ. მახნაზაროვმა ა. ცვეტარიძემ, ვ. ბეგიაშვილმა, ეს. კორაძელიმ, ხანდრო ციცაკოვისამ, მატ. ზილკოსაგან, ჩოპკამ, მარიამ და გიორგიმ, ვახომ, ს. კაზრაძემ, ვ. კვერნაძემ, ის. დათეიშვილმა, ლ. კობახიძემ, თ. შენგელიამ, გ. რუსიამ, ლი. პერიძემ, კ. პანჭავიძემ, კ. თხელიძემ, მ. ფირცხელაურმა, გ. კობალაძემ, ვ. ჯომარჯიძემ, ვლ. პარატაშვილმა, ი. კობალეიშვილმა, გ. მაისურაძემ, პ. გვიჩანიძემ, ვლ. აფაქიძემ, ვერხვიაშვილმა, ელ. აქობაძემ, ნ. კოტრიკიძემ, გ. გუკასოვმა, ლობიაშვილმა, დ. კილაძემ, ილ. ჩხიკვიშვილმა. გ. ჯვარიშვილმა, გ. ქარცივაძემ, ნ. სვანიძემ, ი. კარაშიძემ, პ. რაღიჩევმა, ნ. კებურაიამ, პ. მუამემ, ჭედლიძემ, ილ. გმელიძემ, თ. კიტაიასაშვილმა, ფ. მამულაიშვილმა, ლ. შენგელიამ, პ. ახობაძემ, გ. დოგანიძემ, მ. ლოლაძემ, გ. კობაიძემ ს. ჩოდრიშვილმა და ს. ბონეტაშვილმა.

მიიღო „დროების“ რედაქციისაგან 23 მ. 74 კ. შემომწირველთა სია უკვე გამოცხადებული იყო.

ახალციხიდან გრიგოლ მეფისაშვილის მიერ გამართულ ქართულ წარმოდგენიდან რობათის დედათა სკოლის დარბაზში 29 მ. 25 კ.

„ჩვენი აზრის“ რედაქციისაგან 36 მ. 75 კ. შემომწირველთა სია უკვე დაბეჭდილი იყო (№ 11 და 12)

დიმიტრი ქვანიასაგან 4 მ. 55 კ.

შემომწირველთა სია: რკინის გზის სახელოსნოს სამჭედლო განყოფილება: ანდრია ფირცხალავამ 50 კ., დათიკო ელიზაშვილმა—50, დიმიტრი ქვანიამ 40 კ., ესტატე გელენიძემ 2ნ., თითო აბაზი: ილია კიბალაშვილმა, სარდიონ სურმავამ, სერაფიონ აფხაძემ, ალფეზა ჭოხონელიძემ, ილიკო თეთრაძემ, დათიკო ხუბლურიძემ, ილარ. მაჭარაძემ, ლადო ღოღობერიძემ, იასონ ბატიევმა; ხუთ-ხუთი შაური: კოსტა ჯატიევმა, სიმონ გოზალოვმა, არტემა მზარეულიშვილმა; 15 კ.—ნესტორ ქაპზინაძემ; ორ-ორი შაური: იოსებ მეცხვარიშვილმა იოსებ რცხილაძემ.


## განცხადებანი

# იყიდება

ორი ნაჭერი მიწისა თავად-აზნაურთა გიმნაზიასთან ვერაზე, ვაკეში: 1. ზომით 360 ოთხკუთხი საჟ.; 2.—436 ოთხკ. საჟ. ორივე კუთხის ადგილია. იკითხეთ გ. ყიფშიძესთან იქვე, საკუთ. სახ., დილით 10 საათამდე და საღამოთი 4—7 საათზე.

(4—260—2)

პირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ერივანსკის მოედნის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საზებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. გ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1—88)

# სურამში

იუნკრის შკოლის საზაფხულო ლაგერის პირდაპირ ისყიდება საუკეთესო საააგარაკო ადგილები. დატოვებულია სასეირნოთ მშვენიერი **ფიჭვის და მუხის პარკი.** ჰავა და ბუნება საუკეთესო. ფასები ხელმისაწდომი: **ორი აბაზიდგან ოთხკუთხი საჟენი.** შეიძლება ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდა.

ადრესი: სურამში, როსტომ დ. ჩიკვაიძეს. (10—271—1)

# ყველას შეუძლიან უზარალოდ

დარწმუნდეს, რა იაფი და კარგია შემდეგი საქონელი პირდაპირ ჩვენი ქარხნიდან გამოწერილი ქარხნის ფასებით:

**„ინგლისური ტრიკო“**—მეტად მკვიდრი, პრაქტ. და კოხტა მალის მატერია, რბილი მალის ქსოვილი მოხდენილ და დარბაისლურ კაცის ტანისამოსისათვის, შემდეგ ფერისა: შავი, მუქი და ღია ცის-ფერი, მიხაკის ფერი, ზეთის-ხილის ფერი, ენდროს ფერი, სადა რუხი ან ლამაზ უჯრიანი, ზოლიანი და წინწკლებიანი, რომელიც მატერიას აძლევს შესანიშნავ და ლამაზ სახეს. სეზონის უკანასკნელი მატერიები; კაცის მთელი კასტიუმისთვის 4 არშინი და 1 ჩარექი ღირს: 5 მ. 25 კ., საუკეთესო ღირსებისა—6 მ. 50 კ., „პ რ ი მ ა“-ს სორტისა—8 მ. 40 კ, „ექსტრა“-ს სორტისა—10 მ. 50 კ. და 12 მ. 50 კ. ს უ ლ ა ხ ა ლ ი რ ა მ: მატერია „ბოსფორი“ 4 არშინი და 1 ჩარექი—11 მ. და 50 კ., „ექსტრა“—14 მ. 50 კ. ვინც სამ ან მეტ ნაჭერს დაიბარებს—უფასოდ მიიღებს სარჩულს.

**ქალებისთვის „ინგლ. კონფექციონი“** ყოველგვარ ფერისა, სადა ან ზოლიანი, წინწკლიანი და უჯრიანი, მეტად პრაქტიკული და კოხტა საქალო კასტიუმებისთვის; ფასი 8 არშინისა (ქალის მთელი კასტიუმისთვის): 4 მ., 5 მ. 60 კ., 6 მ. 75 კ. და 8 მ. 50 კ.

**„ტიროლის ტილო“**—ქალისა და კაცის ნაირ-ნაირი საცვლებისათვის, საუკეთესო თვისებისა, მეტად თეთრი, სქელი და მკვიდრი, სიგანით 20 ვერშოკი; ნაჭერი (24 არშინი) ღირს 5 მ. 50 კ., საუკეთესო თვისებისა 5 მ. და 6 მ. 75 კ.

უზარალოდ ვისაც საქონელი არ მოეწონება, ფულს უბრუნებთ. ჩალაგება და გაგზავნა ფირმის ხარჯით. ფას დადებით გაგზავნაში მანეთზე ემატება 2 კ., ხოლო ციმბირში—მეტი წონისა. შეკვეთილ საქონელს უეღოთაც ვგზავნით.

ადრესი: Фабрика Т-ва Суконно-Шерстяной мануфактуры. Г. Лодзь. N 18.

კარგ საქონლისათვის ფირმას ჯილდოები აქვს მიღებული რუსეთისა და საზღვარ გარეთის გამოფენებზე. (3—ფ.—3)

# ამხ. „სორაპანის“ გამოცემა

ქართველი და უცხოელი მწერლები

# „ახალი ჩანგი“

„სცენები. ლექსები, სასიმღერო კუპლეტები, რომანსები და დრამატიული ნაწარმოებნი საუკეთესო მწერლებისა“.

მიიღება ხელის მოწერა ტფილისში: წიგნის მაღაზია წერა კითხვის საზოგადოებისა, „რეჩის“ კიკნაძისა სახაზინო თეატრის პირდაპირ. „ალიონისა“ კიროჩნი ქუჩაზე. პროვინციაში კი ყველა გაზეთების გამყიდველ აგენტთან.

**ხელის მოწერა დაიწყება 30 აპრილს და გათავდება 20 მაისს**—შემდეგ ხელის მოწერა აღარ მიიღება. **ხელის მომწერთათვის წიგნი ღირება (200 გვ.) 25 კაპ.**

წიგნი ცალკე გასასყიდად არ გამოვა. გამოწერა წიგნისა შეიძლება მარკებითაც, გაგზავნიანა ეღირება 37 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ“, М. Гачечиладзе.

**დაბეჭდილი წიგნი დაურიგდება ხელის მომწერთ 20 ივნისს.** (10—6—10)



швейныя машины „Кайзеръ“

# ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის მაღაზია ქ. ქუთაისში.

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ“-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბ ს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—36)


სტამბა „სინათლე“, დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.